აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№101 (25.125) 8 დეკემბერი, 2023 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 16-21, მთიან რაიონებში - 14-19 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

მარეთში ახალი ტაძარი ამოქმედდა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში აჭარის მთიანეთიდან ქვემო ქართლში გადასულებმა ახალი სოფლების დაარსებას ჩაუყარეს საფუძველი. გაჩნდა ახალი დასახლებები: მარეთი, მარადისი, ახალი დიოკნისი, ხიხანი. ბოლნისის რაიონში გაცოცხლდა ერთ დროს ისევ ქართველებით დასახლებული სოფელი დისველი. სწორედ დისველია ის პირველი სოფელი, სადაც რამდენიმე წლის წინ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორისა და ბოლნისის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე ეფრემის ლოცვა-კურთხევით, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი ამოქმედდა

დისველელებს მხარი აუბეს მუხროვანსა და ვაზიანში, - ეს სოფლებიც საქართველოს რუკაზე აჭარიდან გადასულებმა გააცოცხლეს.

მარნეულის რაიონში შულავერის, ახლა მარეთის ტერიტორია ერთ დროს მივიწყებული იყო. მას ახალი სიცოცხლე შთაბერეს შუახევიდან და ხულოდან 30-35 წლის წინ გადასულებმა. მათი უმეტესობა მარეთის ხეობიდანაა, ამიტომაც ეწოდა ახალ დასახლებას მარეთი.

- სოფელი მაშინაა ძლიერი და მოუშლელი, როცა საკუთარი სამლოცველო აქვს, - თქვეს 7 წლის წინ მარეთელებმა და უწმინდესსა და უნეტარესს, მარნეული-ჰუჯაბის ეპარქიის ეპისკოპოს მეუფე გიორგის ლოცვა-კურთხევა სთხოვეს ტაძრის მშენებლობის დასაწყებად.

ტაძარი შემოწირულობებით შენდებოდა. შემოდგომაზე ტაძარს ხარაჩოები ჩამოხსნეს. დადგა მისი საზეიმოდ კურთხევის დროც. მარეთელებმა სხალთის ეპარქიიდან დეკანოზები გიორგი ფუტკარაძე და მატათა ზოიძე მიიწვიეს. გიორგი მარეთის ხეობის მკვიდრია, მატათა - ხულოს. მათ და მარნეული-ჰუჯაბის ეპარქიის მღვდელმსახურმა მამა პეტრემ (პეტრიაშვილი) ტაძარი საზეიმოდ აკურთხეს და წირვა-ლოცვა აღავლინეს.

გაიმართა საზეიმო ცერემონია. ღვთისმსახურებთან ერთად, დამსწრეთ სიახლე მიულოცეს მარეთის რომან ზოიძის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორმა შალვა ფუტკარაძემ, სოფლის გამგებელმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა.

- ამ ტერიტორიაზე ერთ დროს ქართული გენი და ქართული სული ზეობდა. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო სოფელი მოიშალა, მაგრამ ახლა ისევ ძველ სახეს იბრუნებს. სადაც ტაძარია, იქ სიცოცხლეა. მარეთიც, ქრისტეს მადლით, მეტ წარმატებებს მოიპოვებს, - გვითხრა დეკანოზმა გიორგიმ.

მინისტრმა პროგრამები წარადგინა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ სისტემაში დასაქმებულებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისთვის სამინისტროს პროგრამების წარდგენა აჭარის მთიანეთის მუნიციპალიტეტებიდან დაიწყო. შუახევსა და ხულოში გამართულ შეხვედრებზე მინისტრმა აღნიშნა, რომ მომავალ წელს ჯანდაცვის კუთხით 10 პროგრამა განხორციელება. ესენია: გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება; მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურება; სახსრების ენდოპროთეზირება; მაღალტექნოლოგიური ამბულატორიული დიაგნოსტიკური კვლევა; ავთვისებიანი სამსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება; ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება; მოზარდი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია; მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება; უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის დაფინანსება; სოფლის სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომითი ანაზღაურება.

მინისტრის თქმით, სოციალური დაცვის პროგრამები 17-მდეა გაზრდილი. ესენია: ძვალსახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია; ბავშვთა ადრეული განვითარება; აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია; სმენაპროთეზირებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაცია; დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა; ფიზიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა; ფსიქიკური აშლილობის მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა; სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება; 2008 წელს რუსული აგრესიის დროს დაღუპულ, დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების დახმარება; ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

პროგრამების წარდგენისას ნინო ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით რამდენიმე ახალი პროგრამა გაორმაგებული ბიუჯეტით იმუშავებს.

მინისტრმა მოსახლეობის შეკითხვებსაც უპასუხა. შეხვედრებს საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

რღვევის პროცესი - «ნაციონალურ მოძრაობაში»
რას ფიქრობენ პოლიტიკოსები? 2

რა არის უმნიშვნელოვანესი ამ არჩევნებში ოპოზიციისთვის? 3

როგორ სწავლობენ რუსული სექტორის მოსწავლეები ქართულს და რა გამოწვევებია ამ მხრივ სკოლებში? 4

«ნარინჯისფერი რთველი» - ბოზოყვათში 7

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

რღვევის პროცესი – „ნაციონალურ მოძრაობაში“

რას ფიქრობენ პოლიტიკოსები?

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ საუბრისას დროა, სახელწოდებას სიტყვა „ერთიანი“ ჩამოვაშოროთ, რადგან რაც ახლა ამ პარტიაში ხდება, ერთიანობისგან ძალიან შორს არის. როდესაც პარტიას ერთიანობის სურვილი აქვს, მოლაპარაკებების ნაცვლად ერთმანეთთან ბრძოლას და ერთმანეთის ლანძღვას არ იწყებენ

პარტიას თითქმის ყოველდღიურად ტოვებენ წევრები. ბათუმი, ზუგდიდი, ჭიათურა, ხობი - ჩამონათვალი ნამდვილად დიდია. საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებიც პარტიის ყოფილი თავმჯდომარის, ნიკა მელიას ფლანგს წარმოადგენენ და მოქმედ მენეჯმენტს არჩევის დღიდან აკრიტიკებენ.

ნიკა მელიას ფლანგში აცხადებენ, რომ დღეს „ნაციონალურ მოძრაობაში“ არაფორმალური მმართველობის სტილია დამკვიდრებული, რომ მათ უღალატეს დემოკრატიულ ღირებულებებსა და პრინციპებს. მათ უკვე ნდობა აღარ ჰქონდათ არსებული მენეჯმენტის მიმართ და ამ ყველაფერმა გადააწყვეტინათ პარტიიდან წასვლა.

4 დეკემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის ორგანიზაციის წევრებმა გიორგი კირთაძემ და მირდატ ქამადაძემ პარტია დატოვეს. „ნაციონალური მოძრაობა“, ასევე, დატოვა ბათუმის საკრებულოში ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ შვიდმა დეპუტატმა.

გიორგი კირთაძემ აღნიშნა, რომ ერთიანობის ყველა შანსი უკვე ამოიწურა.

„ყველა მცდელობა განხორციელდა პარტიაში ერთობის შესანარჩუნებლად, მაგრამ საბოლოოდ პასუხად მივიღეთ ის, რომ 2025 წლამდე პარტიაში არაფერი შეიცვლება. ჩვენ გადავწყვიტეთ, ამ ყველაფერს დავუსვათ წერტილი. როცა იდეებისგან იცლება ის საქმე, რისთვისაც ვიბრძვით, ამ გადაწყვეტილების მიღება გვიწევს. „უბრალოდ, ჩვენ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ,“ - განაცხადა კირთაძემ.

როგორც მან აღნიშნა, ბრძოლა კვლავ გრძელდება არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ ის, თანამოაზრეებთან ერთად, უკვე ახალი პლატფორმიდან განაგრძობს ბრძოლას.

„რა თქმა უნდა, ვრჩებით „ვარდების რევოლუციის“ იდეალების ერთგულები და ვაგრძელებთ ბრძოლას პოლიტიკური მართლმსაჯულების დასრულებისთვის. მიხეილ სააკაშვილი უნდა იყოს ბოლო პოლიტიკური პატიმარი და მან რაც შეიძლება მალე უნდა დატოვოს საპყრობილე, ასევე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩამოსცილდეს ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმი ხელისუფლებას. ამისთვის გავაკეთებთ ყველაფერს, თუმცა, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს გავაკეთებთ ახალი პლატფორმიდან,“ - განაცხადა მან.

„ნაციონალური მოძრაობის“, თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი კი პარტიიდან წასულ ადამიანებს აშშ-დან ეხმაურება.

„ბათუმში გიორგი კირთაძე და მისი თანაგუნდელები 8-9 თვის განმავლობაში, ჩვენდა სამწუხაროდ, დაკავებულები იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ რყევით. ამის მიუხედავად, მე მინდა პატივისცემა დავუფიქსირო იმ ადამიანებს, რომლებიც პარტიიდან წასვლის გადაწყვეტილებას ღებულობენ, ეს მათი არჩევანია. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გასულ ადამიანებს წარმატება მინდა ვუსურვო ოლიგარქთან ბრძოლაში და არა „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კინკლაობაში. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ ფორმატში თანამშრომლობისთვის, თუ მათ ეს ხვალ ან ზეგ მოუნდებათ. დღეს ჩვენ ვაშინგტონში ვესაუბრებით დასავლელ ლიდერებს იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი არ უნდა იყოს პუტინისტური რეჟიმის ტყვეობაში და დამეთანხმეთ, რომ ეს შეუდარებლად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ გარკვეულმა ადამიანებმა მეხუთედ დატოვეს პარტია“, - აცხადებს ხაბეიშვილი.

პარტიიდან გიორგი კირთაძისა და ბათუმის საკრებულოს წევრების წასვლას ეხმაურება ენმ-ის წევრი **ანა ფითლიძეც**. მისი თქმით, ისინი არ იყვნენ მთავარი ფაქტორი შედეგისა, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ აჭარაში ჰქონდა.

„არ მგონია, რომ აჭარაში, ეს წასულები, მიუხედავად მათი დიდი წვლილისა, ყოფილიყვნენ მთავარი ფაქტორი იმ შედეგისა, რაც ბათუმში და აჭარაში იდებოდა.

„ნაციონალური მოძრაობა“ არ არის სახელებსა და გვარებზე ჩამოკიდებული პარტია. ეს არ არის პირველი „ნაციონალური მოძრაობისთვის“, გამოცდილებამ აჩვენა, რომ ენმ არის ცოცხალი ორგანიზმი, ადამიანები მიდიან, მაგრამ ძალიან ბევრი ახალი ადამიანი მოდის“- აღნიშნა წითლიძემ.

მოლოდინი დიდია, მაგრამ არსებულ სიტუაციაზე დღემდე კომენტარს არ აკეთებს პარტიის ყოფილი თავმჯდომარე ნიკა მელია.

ენმ-ში მიმდინარე პროცესებს მიხეილ სააკაშვილი სოციალური ქსელით „ვივამედიდან“ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მისთვის არ არის საინტერესო შიდაპარტიული ინტრიგები და ერთიანობას არ აქვს ალტერნატივა.

რაც შეეხება მმართველ პარტიას, „ქართულ ოცნებაში“ აცხადებენ, რომ ეს მათი პოლიტიკური დასასრულია.

„საბოლოო ჯამში, ეს ძალიან კარგია - პოლიტიკური დასასრულია. როცა შენს სამშობლოს ებრძვი, ბოლოს ასე დაამთავრებ. რაც უფრო მეტად დაიშლება და დაქუცმაცდება ეს ორგანიზაცია, მით უფრო კარგია, რადგან შეუძლებელია საქართველოში პოლიტიკური გასაქანი ჰქონდეს პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც დაფუძნებულია ძალადობაზე, წამების სისტემის შექმნასა და კორუფციაზე“, - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა**.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, დავაკვირდეთ „ნაციონალურ მოძრაობაში“ განვითარებულ მოვლენებს და დაველოდოთ ახალი პლატფორმიდან დაანონსებულ ბრძოლას.

რას ფიქრობენ აჭარაში მოღვაწე პოლიტიკოსები „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მიმდინარე რღვევის პროცესზე და პარტიიდან წასულ პოლიტიკოსებზე? გვთავაზობთ რამდენიმე მათგანის პოზიციას.

ვაშა დარჩია, პოლიტიკური გაერთიანება „ლელო საქართველოსთვის“:

- ცხადი იყო, რომ ეს ყველაფერი მოხდებოდა, შიდაპარტიული არჩევნების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლის კონტურები ნათლად გამოიკვეთა. თუ ამ ქვეყანაში სამომავლოდ პოლიტიკის კეთება გინდა, მაქსიმალურად უნდა დისტანცირდე არაფორმალური მმართველობისგან, იმ ხალხისგან, რომლებიც განაპირობებენ აზრს, რომ დღემდე მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის „ნაციონალური მოძრაობა“ მიუღებელი ძალაა. ნიკა მელიას და მისი გუნდის მხრიდან ეს პროცესი ბევრად ადრე უნდა დაწყებულიყო, თუმცა მესმის, რომ ეს ძალიან რთული გადაწყვეტილება იყო, რადგან ამ ადამიანების დიდი ნაწილისთვის „ნაციონალური მოძრაობა“ იდენტობის ნაწილი იყო, პრაგმატულად კი ეს სრულიად სწორი ნაბიჯია. საკითხავი ისაა, რამდენად შეძლებენ მელია და მისი გუნდი ამომრჩევლის წამოყვანას, რადგან მათი ამომრჩეველი ხომ ბრენდის ამომრჩეველია. ლიდერებისგან დისტანცირდე და ენმ-ის ხმები აიღო, ცოტა რთულად წარმოსადგენი ამბავია ნაცმოძრაობის ამომრჩევლის ბუნებიდან გამომდინარე, თუმცა ვხედავთ, რომ ბათუმით დაწყებული ეს რღვევის პროცესი დომინოს პრინციპით გაგრძელდა, პარტია დატოვეს ზუგდიდში, ხობში, ჭიათურაში და პროცესი კვლავ გაგრძელდება. შესაბამისად, ვხედავთ, რომ ადამიანური

იხ. მე-7 გვ.

ქრონიკა

ბათუმი მალე თანამედროვე წყალმომარაგების, წყალარინების სისტემით სრულად აღიჭურვება და დატბორვის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება, - ამის შესახებ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ გადაცემა „იმედი LIVE“-ში განაცხადა. „ბათუმელების“ მთავარი პრობლემა ავარიული სახლებია, რომლის მოგვარებასაც ვაპირებთ. ამ მიმართულებით მთავრობისა და ფინანსთა სამინისტროს სრული მხარდაჭერა გვაქვს და ერთობლივად ვგეგმავთ პროექტებს. ბათუმი თანამედროვე წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემით სრულად აღიჭურვება. ხელი მოვაწერეთ შესაბამის ხელშეკრულებას და ქალაქში დატბორვის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება. სატრანსპორტო მიმართულებითაც არის გამოწვევები, თუმცა, ვფიქრობთ, შემოვლითი გზა ამ პრობლემას მაქსიმალურად შეარბილებს“, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

* * *

ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანის თქმით, ბაგრატიონის ქუჩაზე ახალი სკვერის მშენებლობასთან დაკავშირებით დაპირება შესრულებულია, რითაც მოსახლეობის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა. მისივე განცხადებით, წელს ბათუმში 10-ზე მეტი რეკრეაციული სივრცე ეწყობა. როგორც ბათუმის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, მწვანე სივრცეების განვითარებას მომავალშიც დიდი ყურადღება დაეთმობა. მიმდინარე სამუშაოებს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და საქართველოს პარლამენტში ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი რესან კონცელიძე გაეცნო. ახალ რეკრეაციულ სივრცეში საბავშვო ატრაქციონები, საპარკო ინვენტარი და სპორტული ტრენაჟორები განთავსდება. ასევე, იგეგმება ოთხფეხა მეგობრებისთვის სპეციალური სივრცის მოწყობა. გარდა ამისა, აღნიშნული ტერიტორიის ირგვლივ მიმდინარეობს ველობილიკისა და გარეგანათების სისტემის მონტაჟი. პროექტის ღირებულება 2 მილიონამდე ლარს შეადგენს. სამუშაოები მომდევნო წლის მაისში დასრულდება.

* * *

ადმინისტრაციულ ერთეულებში უკვე დაიწყო ბათუმის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა. აღნიშნულ პროექტს 4 დეკემბერს აეროპორტისა და გონიოკვარიათის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობა გაეცნო, მეორე დღეს კი შეხვედრები სამრეწველო და კახაბრის ადმინისტრაციულ ერთეულებში გაგრძელდა. ბათუმის მომავალი წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე, რომელიც 365 მილიონ ლარს შეადგენს, პროექტის საჯარო განხილვებზე მოქალაქეებსა თუ სხვა დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, გაეცნონ ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებს. ასევე, აქვთ შესაძლებლობა, წარადგინონ თავიანთი შენიშვნები, რომლებსაც გაითვალისწინებენ ბიუჯეტის პროექტის კორექტირებისას.

* * *

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, რეგიონის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია. უწყებამ გამოაქვეყნა ინფორმაცია, სადაც მუნიციპალიტეტების მიხედვით მოწოდებულია ცნობები, კონკრეტულად, რა ეტაპზეა ამ დროისთვის აღნიშნული სამუშაოები. სამინისტროს ინფორმაციით, ახალი სკოლა და საცხოვრებელი კამპუსი აშენდება ქვემო ვაშლოვანში. სკოლის შენობა სამსართულიანი იქნება, რომელშიც 350 მოსწავლეს შეეძლება სწავლა. სკოლაში, ასევე, განთავსდება ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ოთახი, 200 ადამიანზე გათვლილი საქტო დარბაზი. სკოლაში მოეწყობა სპორტდარბაზი - სამაყურებლო აივნით. რაც შეეხება საცხოვრებელ კამპუსს, ის 150 მოსწავლისთვის იქნება განკუთვნილი. სკოლის ეზოში 250 მაყურებელზე გათვლილი მოედანი მოეწყობა.

* * *

ბათუმში წელს ახალი სადღესასწაულო ილუმინაციები და აქსესუარები მონტაჟდება. ინფორმაციას ბათუმის მერია ავრცელებს. მოცულობითი სამუშაოებიდან გამომდინარე, განათებების მონტაჟი ნოემბერში დაიწყო და დეკემბრის შუა რიცხვებში დასრულდება. ქალაქის მთავარი ნაძვის ხე ევროპის მოედანზე დამონტაჟდება და 25 დეკემბერს საზეიმოდ აინთება. საშობაო-საახალწლო დღეებში ქალაქის გაფორმების, საახალწლო მანათობელი კონსტრუქციებისა და სხვადასხვა მოწყობილობის მონტაჟისა და დემონტაჟისთვის 5 159 000 ლარია გათვალისწინებული. სამუშაოებს შპს „აჭარგანათება“ ახორციელებს.

* * *

ბათუმის 28-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ბოსტნეულისა და დეკორატიული მცენარეების ჩითილების გამოსაყვანი სასწავლო-სადემონსტრაციო სათბური, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლის ტერიტორიაზე კი აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დაფინანსებითა და ბსუ-ის ექსტენციის ცენტრის ბაზაზე განხორციელებული საგრანტო კონკურს „ჭკვიანი ფერმა ჩვენს სკოლაში“ ფარგლებში, ენდემური ხეხილის ნერგების გამოსაყვანი სასწავლო-სადემონსტრაციო სათბური გაიხსნა. „ჭკვიანი ფერმა ჩვენს სკოლაში“ ითვალისწინებს ახალგაზრდებში აგრარული პროფესიების პოპულარიზაციას, უნარებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას, აჭარაში დარგების გაახალგაზრდავებას, აგრარული ტექნოლოგიების იმპლემენტაციას, აგრარული ექსტენციის მიწოდებაში კვლევის კომპონენტის შეტანასა და აგრარული ექსტენციის საუნივერსიტეტო მოდელის მდგრად განვითარებას.

* * *

გასულ წლებში თამარის დასახლებაში საავტომობილო ხიდზე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტმა განახორციელა. აღმოჩნდა, რომ ახალი ხიდი ავტომობილების გამტარუნარიანობისთვის საკმარისი არ არის და საცობის შექმნა ხშირად სწორედ ამ ხიდს უკავშირდება. ბათუმის მერის არჩილ ჩიქოვანის განცხადებით, აღნიშნული გზის მონაკვეთზე გაზრდილი მზარდი ნაკადის გამო, ხიდის გაფართოება გახდა აუცილებელი და მერიამ პროექტზე მუშაობა საპატრულო პოლიციის და ექსპერტთა რეკომენდაციით დაიწყო.

* * *

აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალური გზის გრიგოლეთი-ქობულეთის მონაკვეთზე, შარშან გახსნილ 5 კმ-იან მონაკვეთს ახალი, 6 კმ-იანი მაგისტრალური გზა დაემატა, სადაც ავტოტრანსპორტის მოძრაობა უკვე გაიხსნა. გრიგოლეთი-ქობულეთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტი მოიცავს 14-კმ-იანი, 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 22 სახიდე გადასასვლელის, 4 სატრანსპორტო კვანძის, წყალგამტარი მილების და მიწისქვეშა გასასვლელების მშენებლობას. ავტოტრანსპორტისთვის მოძრაობა უკვე გახსნილია გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი მაგისტრალური გზის 11-კმ-იან, 4-ზოლიან მონაკვეთზე. სამუშაოები აქტიურად გრძელდება და დარჩენილი 3 კმ მაგისტრალურ გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა 2024 წელს დაიწყება. გრიგოლეთი-ქობულეთის მაგისტრალური გზის მშენებლობის პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკთან გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში ხორციელდება და მისი ღირებულება 228 მილიონ ლარს შეადგენს. გრიგოლეთი-ქობულეთის შემოვლითი გზის საშუალებით, სამტრედია-გრიგოლეთის გზა ქობულეთის შემოვლით გზას დაუკავშირდება და სატრანსპორტო ნაკადი გრიგოლეთიდან ქობულეთის მიმართულებით, ჩქაროსნული ავტომაგისტრალით იმოძრავებს.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

რა არის უმნიშვნელოვანესი ამ არჩევნებში ოპოზიციისთვის?

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

აშკარაა, რომ საარჩევნო მარათონი არაოფიციალურად გაიხსნა. პარტიები აქტიურობენ, იქმნება სხვადასხვა პლატფორმა, იმართება შეხვედრები მოსახლეობასთან. ეს არცაა გასაკვირი - პარტიების დანიშნულება სწორედ ხელისუფლებამდე მოსახლეობის აზრის მიტანა და პარლამენტში მოხვედრისთანავე ამომრჩევლის ინტერესების დაცვაა

*რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას პოლიტიკოსები, ამას ისინი განსხვავებულად აფასებენ, თუმცა ის კი ცხადია, რომ პოლიტიკური სპექტრი იღვწის საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად. უდავოა, რომ 2024 წლის არჩევნები ისტორიული მნიშვნელობის იქნება მრავალი ფაქტორიდან გამომდინარე. ჯერ ერთი, არჩევნები სრულიად პროპორციული სისტემით ტარდება, მეორე, შესაძლოა არჩევნები მმართველმა პარტიამ მეოთხეჯერ მოიგოს, ანდა ოპოზიციამ კოალიციური მთავრობა ჩამოაყალიბოს, რაც უპრეცედენტო მოვლენა იქნება საქართველოს საპარლამენტო ისტორიაში. მოკლედ, მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე პროცესები მრავალ კითხვას ბადებს. სწორედ ამის თაობაზე გაზეთ „აჭარას“ პარტია „დროას“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პოეტი **გენრი დოლიძე** ესაუბრება.*

- თქვენმა პარტია „დროამ“და „გირჩი - მეტი თავისუფლებამ“ ახლახან მოსახლეობასთან შეხვედრაზე თავისი გეგმები გააჟღერა. ეს ერთგვარი პრეზენტაცია იყო?

- „დროა“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“ აგრძელებს რეგიონულ ტურს. ზუგდიდის შემდეგ ჩვენი ხედვები ბათუმის საზოგადოებას გავაცანით. საქართველოში, როგორც წესი, როცა არჩევნები კარს მოაკაკუნებს, პოლიტიკურ პარტიებს მხოლოდ მაშინ ახსენდებათ ამომრჩეველი, რეგიონის მოსახლეობა და როცა გამარჯვების ყველა იმედი გადაწურული აქვთ, მხოლოდ მაშინ ერთიანდებიან სხვა პლატფორმებთან. ასეთი ერთობაც და საარჩევნო კამპანიაც ხელოვნურია. ამომრჩეველს ვერ მოატყუებ. საგრძნობლად არის გაზრდილი მისი სკეპტიციზმიც და პოლიტიკური ცნობიერებაც. „გირჩი“ და „დროა“ თავიდანვე ვიწყებთ მწყობრი ნაბიჯებით სვლას არჩევნებისკენ. ჩვენი ერთობა არ არის ხელოვნური და ეკლექტური. იგი არ ემყარება მხოლოდ გამარჯვების ან ბარიერის გადალახვის სურვილს. გვაქვს იდეური თანხვედრა და ქვეყნის განვითარების ბევრ ასპექტზე - საერთო ხედვა. სწორედ ამ ხედვებზე კეთდება რეგიონულ შეხვედრებზე მთავარი აქცენტები. წინასწარ ვეუბნებით ელექტორატს, როგორ ვხედავთ ქვეყნის სწორი განვითარების გზებს, როგორი უნდა იყოს სასამართლო, პოლიცია, თავდაცვა, ჯანდაცვა, სოციალური პოლიტიკა, გამარჯვების ან კოალიციურ მთავრობაში შესვლის შემთხვევაში, რა რეფორმებს გავატარებთ, რა იდეებს დავუჭერთ მხარს.

- ქვეყანაში პოლიტიკური პარტიები გააქტიურდნენ. სხვადასხვა პლატფორმის შექმნა, თუნდაც „ნაცმოძრაობის“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ სახით, ასევე „ლელო საქართველოსთვის“ აქტიურობა რამდენად განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას?

- ამ არჩევნებში უმნიშვნელოვანესია, ოპოზიციამ წამოიღოს პროპორციული ხმების 51%-ზე მეტი, ანუ „ქართული ოცნება“ თავისი სატელიტებიანად დარჩეს ოპოზიციაში. ამ მიზნისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მისასალმებელია. მნიშვნელოვანია, რომ ყველა პარტიამ გააცნობიეროს თავისი რეალური პოლიტიკური წონა და საჭიროების შემთხვევაში მოახერხოს იდეოლოგიურად ახლო მდგომ პოლიტიკურ პლატფორმებთან გაერთიანება, რათა არ დარჩეს ბარიერს მიღმა და გაუნაწილებელი მანდატის სახით აღებული ხმები არ გადაულოცოს „ქართულ ოცნებას“.

- მმართველი გუნდი აცხადებს, რომ ოპოზიცია დაქსაქსულია და არჩევნებში არანაირი შანსი არ აქვს...

- გულწრფელად ვიტყვი, ტელეეკრანებიდან მაინცდამაინც პოზიტიურად არ გამოიყურება ოპოზიცია, თუმცა უკვე გვაქვს კოორდინირებული და შეთანხმებული მუშაობის გამოცდილება. ძალთა სინერგიით თვითმმართველობის არჩევნებზე ბევრ ქალაქში მოვახერხეთ „ქართული ოცნების“ ბეჭებზე დადება, თუმცა გამარჯვება მხოლოდ წალენჯიხაში გავიფორმეთ, რადგან უზენაესმა არბიტრმა - ცესკომ, რომელიც მიკერძოებული და მართულია „ოცნების“ მიერ, ყველა ძალა იხმარა, რომ „ქართული ოცნების“ მარცხი მოგებად გაეფორმებინა. თითოეული საერთაშორისო კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ხელისუფლებას არ უჭერს მხარს. საჭიროა გონივრული მუშაობა, ამ განწყობების ოპოზიციურ ხმებში ტრანსფორმაცია და შემდეგ ამ გამარჯვების გაფორმება. ამისთვის, დამიჯერეთ, ძალიან ბევრს აკეთებენ „დროა“ და „გირჩი“. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრევენციული ბერკეტია პლატფორმა mona.ge, სადაც სანდო წყაროების მიერ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება ყველა იმ პირის იდენტიფიცირება და საჯარო მხილება, რომელიც მონაწილეობს არჩევნების გაყალბებასა და ამომრჩეველთა ნებაზე ზემოქმედებაში. ეს ინფორმაციები გროვდება და ეგზავნება საერთაშორისო ორგანიზაციებს, საელჩოებს, რათა მათ შეაფასონ არა მხოლოდ საარჩევნო დღე, არამედ წინასაარჩევნო გარეკამპანია. ყველამ კარგად ვიცით, რომ არჩევნები მხოლოდ უბანზე არ ყალბდება. ამ მავნებელურ პროცესში ჩართულია ქუჩაც, საჯარო სამსახურებიც, ჩაწყობილი ტენდერებით გამდიდრებული ბიზნესიც, რელიგიური ორგანიზაციებიც და ასე შემდეგ.

- თქვენ უარყოფითად შეაფასეთ ხელისუფლების საქმიანობა, თუმცა მმართველი პარტია აცხადებს, რომ ქვეყანა ვითარდება და ოპოზიცია მხოლოდ დესტრუქციული ქმედებებითაა დაკავებული.

- მხოლოდ გაზრდილი ბიუჯეტი არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის განვითარებად. იზრდება რუსული გავლენები, რუსულ ბაზარზე დამოკიდებულება, კრიმინალი, მიგრაცია, კორუფცია ყველა რგოლში. რა უფრო დიდი დესტრუქციაა, ევროპას რომ ლანძღავ და რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში ხელს უწყობ, არაფერს აკეთებ დემოგრაფიული კრიზისის შესაჩერებლად, ხალხის კუთვნილ ჰექტრობით მიწებს რომ მიისაკუთრებ და ოჯახის წევრებს გადაუფორმებ, თუ აქციაზე რომ გამოხვალ და მწვავე, თუნდაც უცენზურო სიტყვებით შეაფასებ არსებულ კატასტროფულ ვითარებას?

- ვერ უარვყოფთ, რომ ოპოზიციური სპექტრი ჯერჯერობით ვერ ქმნის ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს, მიზეზად სახელდება ის, რომ ოპოზიციას არ გააჩნია ქვეყნის განვითარების მწყობრი გეგმა...

- ოპოზიცია არ არის ერთი პოლიტიკური პარტია, ერთიანი ხედვა და ერთიანი სულისკვეთება რომ ჰქონდეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არის ბევრი ინდივიდის, ბევრი ხედვის, ბევრი გუნდის, ბევრი იდეოლოგიის ერთობა. ამ მომენტში მთავარი ამოცანაა, ხელისუფლებიდან გავისტუმროთ ერთი პარტია და ის არ ჩანაცვლდეს რომელიმე კონკრეტული ჯგუფით, თორემ ერთი ბოროტების ადგილზე მეორე აღმოცენდება. ყველა ნორმალურმა, ცივილიზებულმა ქვეყანამ დემოკრატიულ და ეკონომიკურ განვითარებას მრავალპარტიული მმართველობით მიაღწია. ასე რომ, ოპოზიციის აზრთა სხვადასხვაობა არ არის ამ ქვეყნის ამოცანა. სწორედ კამათსა და იდეოლოგიურ ჭიდილში იბადება ჭეშმარიტებაც და დემოკრატიაც. ერთი აზრი მხოლოდ დიქტატორულ და ავტორიტარულ რეჟიმებშია, სადაც მხოლოდ ერთმა ადამიანმა „იცის“ როგორ უნდა განვითარდეს ქვეყნის ჯანდაცვაც, ეკონომიკაც, საგარეო ურთიერთობაც, განათლებაც... ოპოზიციას ამ ეტაპზე აქვს მხოლოდ ერთი ამოცანა, რუსული რეჟიმი ჩაანაცვლოს მრავალპარტიული ევროპული მმართველობით. დანარჩენზე საჭიროა საერთო ეროვნული კონსენსუსი. არ შეიძლება ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში, როგორებიცაა თავდაცვა, განათლება, ჯანდაცვა, ერთი მინისტრის, ან ერთი პარტიის ხუშტურით, ანდა გემოვნებით ტარდებოდეს რეფორმა.

- სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, მხოლოდ სამი პარტია („ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობა“ და „საქართველოსთვის“) ლახავს საარჩევნო ბარიერს. რამდენად სარწმუნოა ეს აზრი?

- ჯერჯერობით არ დაწყებულა საარჩევნო კამპანიები და საბოლოოდ არ გამოკვეთილა აქტორები, არ ფორმირებულა პლატფორმები, ამიტომ წინასწარ, ერთი წლით ადრე მსჯელობა, თუ ვინ გადალახავს ბარიერს, ნაადრევი მგონია. ამ პერიოდში ნებისმიერი პარტიის რეიტინგი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს ან საგრძნობლად დაეცეს. ასე რომ, დაველოდოთ, ვინ როგორ იმუშავებს და რას შესთავაზებს ამომრჩეველს.

- პრეზიდენტსა და მმართველ გუნდს შორის დაპირისპირება იკვეთება. ხელისუფლება პრეზიდენტისა და „ნაცმოძრაობის“ ალიანსზე საუბრობს. თქვენ რას ფიქრობთ?

- პოლიტიკაში ყველაფერია დასაშვები და მოსალოდნელი, თუმცა ხელაღებით იმის თქმა, რომ სალომე ზურაბიშვილი რომელიმე პარტიასთან არის ფარულ ალიანსში, რთულია. თეორიულად, შეგვიძლია ყველაფერი დავუშვათ, მათ შორის ისიც, რომ იგი ბიძინა ივანიშვილის „გეგმა ბე“-ს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ ეტაპზე სწორ პოზიციაზე დგას, სწორ პროცესებზე აიღო ინიციატივა, თუმცა მახსოვს მისი ისეთი განცხადებებიც, რომლებიც მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს.

- რაკიღა „ნაცმოძრაობა“ ვახსენეთ... ხომ არაა მოსალოდნელი, ეს პარტია ორად გაიყოს?

- მე სხვა პარტიის წარმომადგენელი ვარ და რაიმე სახის პროგნოზი ჩემი მხრიდან არ იქნება სწორი. ენმ-ის ორივე ფლანგზე მყავს ბევრი ძველი მეგობარი, რომელთა პატიოსნებასა და სამშობლოს სიყვარულში ეჭვი არ მეპარება და მათ პერსონალურად წარმატებებს ვუსურვებ ქვეყნის სამსახურში. როგორ გააგრძელებენ პოლიტიკურ ასპარეზს, მათი შიდაპარტიული საქმეა.

- როგორ ფიქრობთ, ვინ იქნება მთავარი ძალა, ვინ და ვინ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, ანუ არჩევნები ორ თუ მრავალპოლუსიანი იქნება?

- გვინდა თუ არა, ბუნებრივად ჩამოყალიბდა ორი პოლუსი - დასავლური და რუსული, თუმცა ორპოლუსიანობა სულაც არ ნიშნავს, რომ ორ პარტიას შორის იქნება არჩევანი. საქართველო გადადის უმნიშვნელოვანეს საფეხურზე, სადაც პარლამენტს ავირჩევთ მხოლოდ პროპორციული გზით, რაც გამორიცხავს მხოლოდ ერთი პარტიის, ერთი ადამიანის, ერთი იდეოლოგიის აბსოლუტურ ხელისუფლებას. შესაბამისად, ნებისმიერი მთავრობა ანგარიშვალდებული იქნება არა მხოლოდ ძლიერის, არამედ შედარებით პატარა პარტიების მიმართაც. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში დამყარდება ჭეშმარიტი და არა ფორმალური დემოკრატია - უმრავლესობის მმართველობა უმცირესობის აზრის გათვალისწინებით. დღევანდელი ამომრჩეველი არჩევანს აკეთებს ტოტალიზატორის პრინციპით - ხმას აძლევს არა იმას, ვინც მოსწონს, არამედ იმას, ვისაც ხელისუფლებაში მოსვლის შანსი აქვს, მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობა კი, ახალი სისტემით, მიეცემა პარლამენტში მოხვედრილ ყველაზე ცოტამანდატიან პარტიასაც. ასე რომ, გაიზრდება მცირე პარტიების პოლიტიკური ფასიცა და მნიშვნელობაც.

- მოქმედ პოლიტიკურ ძალებს შორის ხედავთ ისეთს, რომელსაც შესწევს უნარი, მესამე ძალად მოგვევლინოს?

- ამ მომენტში ძნელია იმის პროგნოზი, ვინ იქნება ან იქნება თუ არა, საერთოდ, მესამე ძალა. გამორიცხულია, 9 თვეში ახალი, ანგარიშგასაწევი პარტია დაიბადოს და მესამე პოლუსი შექმნას. რაც შეეხება პატარა პარტიების კონსოლიდაციით შექმნილ ერთობას, ჩვენი და ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა ევროპულმა ოპოზიციამ დაამარცხოს რუსული ოცნება და ამას ორი პარტია გააკეთებს (ენმ და ერთ ძალად შეკრული დანარჩენი ოპოზიცია) თუ ოთხი-ხუთი - ცალ-ცალკე, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ნებისმიერი ხელოვნური და ტექნიკური ერთობა მესამე ძალის შესაქმნელად, არჩევნების შემდეგ მაინც დაიშლება, ამიტომ ვისურვებდი, რაც შეიძლება მეტი პროდასავლური პარტია შევიდეს პარლამენტში საკუთარი სახელით, სახით, ვექტორით, პროგრამით და გაცხადებული იდეოლოგიით.

- ადგილობრივმა არჩევნებმა ცხადყო, რომ მოსახლეობა ინდიფერენტულია, რას აკეთებს ოპოზიცია, რომ პასიური ამომრჩევლის ხმა არ დაიკარგოს?

- ვერ გეტყვით, რას აკეთებენ სხვები, მაგრამ „დროა“ და „გირჩი“ აქტიურად მუშაობდნენ ამ საკითხზე. ორი ყველაზე დიდი ჯგუფი არის ემიგრანტები და ახალგაზრდები. ორივე მიმართულებით გვაქვს ინიციატივები. ვატარებთ ახალგაზრდულ ბანაკებს, შეხვედრებს სტუდენტებთან, ასევე, არასამთავრობო სექტორთან ერთად ჩვენც აქტიურად ვმუშაობთ, რომ რაც შეიძლება მეტი ახალი საარჩევნო უბანი გაიხსნას ევროპისა და ამერიკის ქალაქებში, სადაც 50-ზე მეტი ამომრჩეველი ცხოვრობს, რათა მათ ასობით კილომეტრის გავლა არ დასჭირდეთ ხმის მისაცემად.

- თქვენი აზრით, როგორი იქნება ძალთა გადანაწილება მომავალ პარლამენტში?

- თუ გვინდა, ქვეყანა განვითარების ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდეს, აუცილებელია, პარლამენტში მოხვდეს რაც შეიძლება მეტი პროდასავლური პარტია და მათი მანდატების საერთო ჯამი უნდა აღემატებოდეს „ქართული ოცნების“ და მისი სატელიტების ჯამს. ამის ყველანაირი რესურსი არსებობს. მთავარია, ოპოზიციამ სწორად მიიტანოს თავისი სათქმელი ამომრჩევლამდე და შეძლოს ხმების დაცვა.

- საქართველოსთვის 2024 წლის არჩევნების ისტორიული მნიშვნელობა...

- 2024 წლის არჩევნები იქნება გარდამტეხი საქართველოს ისტორიაში - ან შეძლებს ამ არჩევნებზე ქართული საზოგადოება, ერთხელ და სამუდამოდ, დაასრულოს ის მანკიერი სისტემა, რომელიც ერთი კაცის, ერთი ჯგუფის აბსოლუტურ და განუსაზღვრელ ძალაუფლებას გულისხმობს და გადავალთ დაბალანსებულ, პროპორციულ, კოალიციურ მმართველობაზე, ან ისევ გავაგრძელებთ სვლას ამ მოჯადოებულ წრეზე.

- დაბოლოს, რა მოლოდინი გაქვთ კანდიდატის სტატუსთან მიმართებით და ამ სტატუსის მინიჭება რა შესაძლებლობებს გვთავაზობს?

- საქართველოს სტაბილური და სწრაფი განვითარება შეუძლებელია ევროპის გარეშე. ახალგაზრდების, მომავალი თაობის არჩევანი ევროპაა. ყოველდღიურად ასობით ადამიანი მიემგზავრება ემიგრაციაში და ასე - ნელ-ნელა ცარიელდება ჩვენი ქვეყანა ქართველებისგან და ივსება რუსებით. ორი არჩევანი გვაქვს: ან აქ გვქონდეს ევროპა და ჩვენმა შვილებმა საუკეთესო განათლება და მაღალანაზღაურებადი სამსახურები ადგილზე მიიღონ, ან ვიყოთ დაცლილი, მიტოვებული ქვეყანა, სადაც მხოლოდ პენსიონერები და საჯარო სამსახურში დასაქმებული პარტაქტივისტები იცხოვრებენ. კანდიდატის სტატუსი შესაძლებლობებს მოგვცემს, ჩვენი ევროპული მომავალი იყოს არა ისევ შორეული პერსპექტივა, არამედ - ხვალინდელი დღე.

> ***„ოპოზიცია არ არის ერთი პოლიტიკური პარტია, ერთიანი ხედვა და ერთიანი სულისკვეთება რომ ჰქონდეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს არის ბევრი ინდივიდის, ბევრი ხედვის, ბევრი გუნდის, ბევრი იდეოლოგიის ერთობა. ამ მომენტში მთავარი ამოცანაა, ხელისუფლებიდან გავისტუმროთ ერთი პარტია და ის არ ჩანაცვლდეს რომელიმე კონკრეტული ჯგუფით, თორემ ერთი ბოროტების ადგილზე მეორე აღმოცენდება***

როგორ სწავლობენ რუსული სექტორის მოსწავლეები ქართულს და რა გამოწვევებია ამ მხრივ სკოლებში?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„გთხოვთ, აუხსნათ ვინმემ ამ ადამიანს, რომ არ ვარ ვალდებული, ჩემს ქვეყანაში ჩამოსულ რუსს, უკრაინელს თუ ბელარუსს რუსულად ველაპარაკო. კეთილი ინებონ და იმდენი ქართული მაინც ისწავლონ, ელემენტარული რაღაცები მიგვახვედრონ“, - *შფოთავდა ერთ-ერთი მაღაზიის კონსულტანტი ქალბატონი და იქვე მყოფ რუსეთის მოქალაქეებს ქართული ენის სწავლისკენ მოუწოდებდა. „ჩვენ არ ვიცით ქართული, ქალბატონო, ვცადე სწავლა, მაგრამ ძალიან რთული ენაა და ვერაფერი გავუგე, თუმცა გპირდებით, ვისწავლი და თქვენთვის გასაგებ ენაზე დაგელაპარაკებით“,* - *უპასუხა ქალბატონს რუსეთის მოქალაქემ და დაძაბულობის განსამუხტად მეგობრებს სთხოვა, დაეტოვებინათ მაღაზია*

როგორც ვიცით, რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ საქართველოს საზღვარი რუსეთის მილიონზე მეტმა მოქალაქემ გადმოკვეთა, მათგან დაახლოებით 113 000-მდე დარჩა და აქ ცხოვრობს. რა თქმა უნდა, ამ გარემოების გამო გაიზარდა მიმართვიანობა რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი სექტორის მქონე საჯარო თუ კერძო სკოლებში. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოში 54 სკოლაა, სადაც სწავლა რუსულ ენაზეა შესაძლებელი. რაც შეეხება აჭარის რეგიონს, ასეთი 6 სკოლაა, მათ შორის 4 - საჯარო და 2 - კერძო.

ანასტასიამ, რომელიც ბათუმის ერთ-ერთ კერძო სკოლაში სწავლობს, გვითხრა, რომ არ სურს საკუთარი ვინაობის საგაზეთოდ გამხელა, რადგან ის, რის თქმასაც აპირებს, შესაძლოა, მისი ოჯახისთვის უსიამოვნების მომტანი აღმოჩნდეს, ვინაიდან მათ სხვა ქვეყნის მიწაზეც კი ეშინიათ რუსეთის რეჟიმის, რომელსაც გამოექცნენ.

- კერძო სკოლაში რუსულ სექტორზე ვსწავლობ, ჩემს კლასში სწავლობენ რუსი, უკრაინელი, ბელარუსი, სომეხი, თურქი ბავშვები. ყველას კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. ქართველებს დავუახლოვდი, რამდენიმე მათგანს უკვე ჩემს მეგობრად ვთვლი, თუმცა ბევრი ქართველისგან ვგრძნობ ზიზღნარევ მზერას. ეს არ მიკვირს, რადგან მე და ჩემმა ოჯახმა ვიცით, რომ რუსეთს საქართველოს 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული, ვიცით, რომ აგრესორი ქვეყანაა, რომელსაც სურს, მეზობელ ქვეყნებზე იბატონოს და ხელი შეუშალოს მათ წინსვლასა და განვითარებაში. ბევრი რუსი ეროვნების ადამიანი შიშით ვერ აღიარებს იმ რეალობას, რასაც გამოვექეცით. მეც, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ბათუმში ვცხოვრობ, ხმამაღლა ვერ ვლაპარაკობ, რადგან ვიცი, რომ აქ ბევრი რუსი ეროვნების ჯაშუშია და შესაძლოა, ჩემმა ნათქვამმა პრობლემები შეუქმნას ჩემს ბებიას, ბაბუას, ძმას, ახლობლებს, რომლებსაც სხვა არჩევანი არ აქვთ და დღემდე რუსეთში რჩებიან. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ვსწავლობ თუ არა ქართულს, საუბარი, როგორც ხედავთ, ცოტათი შემიძლია, თუმცა წერა და კითხვა ჯერ არ ვიცი. მშობლები დამპირდნენ, რომ მალე ამიყვანენ რეპეტიტორს და შევუდგები ქართულის სწავლას. ვიაზრებ იმას, რომ თუ საბოლოოდ აქ დარჩენას გადავწყვეტთ, აუცილებელია, ვისწავლოთ იმ ქვეყნის ენა, სადაც ვიცხოვრებთ. ძალიან მიყვარს ქართველები, ქართული ცეკვის სწავლა მინდა, ისე მომწონს, ვერ აღგიწერთ. ბათუმში ჩემი ორი უახლოესი მეგობარიც ჩამოვიდა, ოჯახებით აქ დავსახლდით, მოგვწონს აქ ცხოვრება და მიმაჩნია, რომ საქართველოში ბათუმი არის ყველაზე განვითარებული და საოცარი ქალაქი. ვიცი, რახან დამპირდით, არ დაწერთ ჩემს გვარს და სკოლას, სადაც ვსწავლობ. იმედია, ერთ მშვენიერ დღეს საქართველო დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს, რუსეთში კი მოვა ევროპული ხედვების ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას ამოიყვანს იმ სიძულვილისგან, რაშიც ახლა იმყოფება, - გვითხრა ანასტასიამ.

საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა იმ ფაქტს, რომ საქართველოში გაიხსნა რუსული არაავტორიზებული სკოლები, რომლებსაც ხან საგანმანათლებლო ცენტრი დაარქვეს, ხან - ენის კურსების ცენტრი, თუმცა ფაქტია, რომ სკოლაა და სასკოლო პროგრამას გადიან. ისინი არ ექვემდებარებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შესაბამისად, არ გასცემენ საქართველოს სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ დოკუმენტებს, რაც თავისთავად, არაკანონიერია.

ბათუმის მკვიდრ ნოდარ ბეჟანიძის თქმით, რუსეთის მოქალაქეები შეფარვითი სახელებით ხსნიან ასეთ კერებს, შეიძლება ითქვას, სკოლებს, სადაც მხოლოდ რუსი, უკრაინელი და ბელარუსი ეროვნების ბავშვებს შეუძლიათ სწავლა.

- ჩემს მეზობლად საკმაოდ დიდი ფართი იქირავეს და თქვეს, რომ სტუდიას ხსნიდნენ, სადაც ნებისმიერ ბავშვს შეეძლო სხვადასხვა რამის შესწავლა, თუმცა, რა შედის ამ სხვადასხვა რამეში, დღემდე ვერ გავარკვიე. როცა ფართის ერთ-ერთ მეპატრონეს ვკითხე, რას ასწავლიდნენ, მან მიპასუხა, რომ მათი სივრცე არის თავისუფალი და სრულიად დემოკრატიული, სადაც ბავშვები ახალ და საინტერესო რამეებს სწავლობენ, მათ შორის ქართულ ენასაც, თუმცა ეჭვი მეპარება ამ ყველაფერში. მინდა, ჩვენმა ხელისუფლებამ, განათლების სამინისტრომ გააკონტროლოს მდგომარეობა და აღკვეთოს უკანონობა. ხსნიან სილამაზის სალონებს, კაფე-ბარებს, უძრავი ქონების სააგენტოებს, ბინებს ყიდულობენ და, როგორც ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონშია“, მალე მთელი ქვეყანა ეგენი იქნებიან, გამრავლდებიან, გაძლიერდებიან და ჩვენივე სამშობლოში არაფრად ჩაგვაგდებენ. იქნებ ცოტათი გამოფხიზლდეს ჩვენი მთავრობა, ყურად იღოს საზოგადოების შეშფოთება და, სულ მცირე, მოთხოვონ, რომ პატივი სცენ ჩვენი ქვეყნის კანონებს, ენას. მართლა, სანამ გვიანი არ არის, დავდგეთ მოწოდების სიმაღლეზე, თორემ სირაქლემის პოზაში ყოფნა, პირველ რიგში, მათ დაღუპავს, ვისაც თავი ქვიშაში ძალიან ღრმად აქვს ჩარგული და შემდეგ ყველას, ზოგადად ქვეყანას, - გვითხრა ნოდარ ბეჟანიძემ და კიდევ ერთხელ დასძინა, რომ სხვა სახელებით გახსნილი რუსული სკოლები საქართველოში არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს განათლების სისტემის კონტროლის მიღმა.

როგორც განათლების ექსპერტები მიიჩნევენ, სახელმწიფო აღნიშნული ტიპის სკოლებში სოციალურ მუშაკს უნდა აგზავნიდეს, რომელიც გადაამოწმებს, როგორ მიდის სწავლება და ხომ არ არის საშიშროება, გაჩნდეს განათლების პარალელური სისტემა. როგორც ცნობილია, აღნიშნულ სკოლებს აქვთ მოსკოვის სკოლების აკრედიტაცია, შესაბამისად, ისინი მიიღებენ რუსულ ატესტატს და შეეძლებათ ქართულ უნივერსიტეტებში სწავლაც.

ორგანიზაცია „საქართველოს ღია საზოგადოების“ მიერ შემუშავდა კვლევა, დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, თუ რუსულენოვან საჯარო სკოლებსა და სექტორებში 2019-2020 წლებში მოსწავლეთა რაოდენობა 12920-ს შეადგენდა, ეს მაჩვენებელი 2023 წლისთვის 17470 მოსწავლემდეა გაზრდილი. რუსეთიდან და ბელარუსიდან მიგრირებული მოსწავლეების დაახლოებით 50% არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებულ კერძო და საჯარო ავტორიზებულ სკოლებში, ხოლო 50% - არაფორმალური განათლების ცენტრში, რომლებიც ოპერირებენ რუსული კანონმდებლობის ქვეშ და შესაბამისი რეგულაციებით აძლევენ დისტანციურ განათლებას მოსწავლეებს.

როგორც აღვნიშნეთ, აჭარის რეგიონში სულ 6 სკოლაა, სადაც ფუნქციონირებს რუსული სექტორი. როგორ სწავლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ქართულ ენას, რა გამოწვევების წინაშე დგანან სკოლები აღნიშნული მიმართულებით, ამ საკითხზე ბათუმის №3 საჯარო სკოლის დირექტორ **იანა ჩადუნელს** ვესაუბრეთ:

- სსიპ „ქ. ბათუმის №3 საჯარო სკოლაში“ 2023-2024 სასწავლო წლის მონაცემებით, არსებობს 69 კლასი, აქედან, რუსული სექტორი 21 კლასითაა წარმოდგენილი. რუსულენოვან სექტორში მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლება სავალდებულოა და ისინი ქართულს, როგორც მეორე ენას, ისე სწავლობენ. ქართული, როგორც მეორე ენა, ისწავლება განათლების სამინისტროს მიერ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით. რუსულენოვან სექტორში, ძირითადად, სწავლობენ ეთნიკური უმცირესობები. ბოლო რამდენიმე წელია, გეოპოლიტიკური მძიმე

ვითარებიდან გამომდინარე, მასობრივად მოხდა უკრაინის მოქალაქეების შემოდინება და ჩვენი სკოლის სხვადასხვა კლასში ჩარიცხვა. პირველ ეტაპზე მივიღეთ 67 უკრაინელი მოსწავლე, თუმცა ეტაპობრივად ისევ ხდება უკრაინის ტერიტორიაზე არსებული საომარი მდგომარეობის შედეგად დაზარალებული მოსწავლეების მიღება სხვადასხვა ქვეყნიდან. უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეები სხვადასხვა კლასში ირიცხებიან ასაკობრივი ზღვარისა და ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილი სასწავლო საფეხურების მიხედვით. ეს მოსწავლეები ან ნაწილობრივ ფლობენ ქართულ ენას, ან საერთოდ არ ფლობენ. შესაბამისად, მათთვის ვადგენთ პირველი, მეორე და მესამე დონის ენის შემსწავლელ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ყალიბდება. როგორც პედაგოგებისთვის, ასევე, მოსწავლეებისთვის სწავლების ასეთი ფორმატი გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. უმეტესად, ქართული ენის გაკვეთილზე, ერთ საკლასო ოთახში ერთდროულად სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეა. ამ დროს საგაკვეთილო პროცესის გამართულად და ეფექტიანად წარმართვა საკმაოდ რთულია. აღსანიშნავია, რომ უცხოეთიდან გადმოსული მოსწავლეების მიერ ქართული ენის შესწავლისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია. უმეტესად, დიდი ინტერესი აქვთ, აქტიურად ერთვებიან სასწავლო პროცესში, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ნაკლები ინტერესით ეკიდებიან ქართული ენის შესწავლას. ჩვენი მიზანია, საქართველოში მყოფ ნებისმიერი ეროვნების მოსწავლეს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ახლა იწყებენ ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრებას, გავუღვივოთ ინტერესი და შევასწავლოთ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ენა, რათა ადვილად მოხდეს მათი ინტეგრაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან და გახდნენ ჩვენი ქვეყნის კულტურისა და ღირებულებების თანაზიარნი. ჩემი სურვილია, უცხოეთიდან გადმოსული და ჩვენს სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეებისათვის განისაზღვროს ქართული ენის ცოდნის დონე და ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება მიმდინარეობდეს მათთვის გამოყოფილ სივრცეებში, სადაც ისინი გაერთიანებული იქნებიან პირველ, მეორე და მესამე დონის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით მანამ, სანამ არ დაძლევენ მათი, ასაკობრივად განსაზღვრული, სწავლების დონეს. ამ იდეას ყველა პედაგოგი იზიარებს, რადგან ასე გამარტივდება საგაკვეთილო პროცესის სრულყოფილად წარმართვა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში საკლასო ოთახების არასაკმარისი რაოდენობა არ გვაძლევს საშუალებას, რეალურად განვახორციელოთ აღნიშნული სურვილი - უცხო ქვეყნებიდან გადმოსული მოსწავლეებისათვის გამარტივდეს ქართული ენის სწავლების პროცესი, იგი გახდეს უფრო ეფექტური, მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული, - გვითხრა ბათუმის მესამე საჯარო სკოლის დირექტორმა იანა ჩადუნელმა.

იმაზე, თუ როგორ სწავლობენ რუსული სექტორის მოსწავლეები ქართულ ენას, გაზეთ „აჭარას“ ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **მაია ჯაფარიძეც** ესაუბრა.

- საუბარს დავიწყებ იმით, თუ რამდენად იჩენენ ქართული ენის შესწავლისადმი ინტერესს მოსწავლეები, რომლებიც რუსულ სექტორში სწავლობენ. განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ის ოჯახები, რომლებიც დიდი ხანია ბათუმში ცხოვრობენ და კარგად აქვთ გათავისებული, რომ ქართული ენის სრულყოფილად შესწავლის გარეშე, მათი შვილები მომავალს ვერ შექმნიან საქართველოში, ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევენ, რომ მათმა შვილებმა სრულყოფილად აითვისონ ქართული ენა. ცოტათი განსხვავებული მდგომარეობაა სხვადასხვა ქვეყნიდან ახლად გადმოსულ მოსწავლეებთან. შეიძლება ითქვას, მათი ინტერესი განსხვავებულია იქიდან გამომდინარე, რომ ჯერ არ არიან ჩამოყალიბებული საბოლოოდ აპირებენ ჩვენს ქვეყანაში დარჩენას თუ დროებით არიან აქ. არიან ოჯახები, რომლებიც თვლიან, რომ ისინი დროებით არიან სახელმწიფოში და მათ ქართული ენის სრულყოფილად შესწავლა დიდად არ სჭირდებათ. შესაბამისად, როგორი ინტერესიც მოდის ოჯახიდან, მოსწავლის მიდგომაც საგაკვეთილო პროცესისადმი ანა-

ლოგიურია. სასიხარულოდ, მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა აპირებს სამშობლოში დაბრუნებას ან სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლას, მიაჩნიათ, რომ რადგან ამჟამად საქართველოში ცხოვრობენ, პატივი უნდა სცენ ამ ქვეყანას და აღნიშნულის გამოხატვის ნიშნად ქართული ენის საფუძვლიანად და სიღრმისეულად შეიწავლას ცდილობენ. არიან მონდომებულნი და მობილიზებულნი საგაკვეთილო პროცესში, ყოველთვის მზად არიან, მიიღონ ცოდნა და განათლება. საგაკვეთილო პროცესში ყველაზე დიდი სირთულეს ქმნის ის, რომ ერთ საკლასო ოთახში ქართულის გაკვეთილზე გვყავს რამდენიმე კლასის მოსწავლე. სკოლაში ახალგადმოსული მოსწავლეები ასაკის მიხედვით სხდებიან შესაბამის კლასში, მაგრამ ქართულის სწავლას იწყებენ პირველი საფეხურიდან, რადგან საერთოდ არ ფლობენ ქართულ ენას. მაგალითად, თუ ბავშვი, რომელიც არ ფლობს ქართულ ენას და გადმოვიდა მერვე კლასში, დაიწყო ქართულის საანბანო პერიოდიდან შესწავლა, გამოდის, რომ კლასში ზის პირველკლასელთან ერთად. ერთ კლასში შეიძლება მყავდეს მეორე, მესამე და მეოთხე დონის მოსწავლე ქართული ენის ცოდნის საფეხურების გათვალისწინებით, რომლებთანაც ერთდროულად სხვადასხვა ტიპის გაკვეთილი მაქვს ჩასატარებელი, რაც ქმნის ძალიან დიდ სირთულეს. საგაკვეთილო პროცესში სამნაირი გაკვეთილის ერთდროულად ჩატარება, დამეთანხმებით, რომ ძალიან რთულია, ამიტომ, ვეთანხმები სკოლის დირექტორის და ადმინისტრაციის მოსაზრებას, რომ ამ ბავშვებისთვის, მხოლოდ ქართულში, შეიქმნას ცალკე გაკვეთილი. ცალკე სივრცეში მოხდეს მათი ცოდნის დონის მიხედვით დაჯგუფება და შესაბამისი დონის დაუფლების შემდეგ, ისინი დაუბრუნდნენ ქართულის გაკვეთილზე თავიანთ კლასებს. მოსწავლე ერთ ან ორ წელში უნდა დაეუფლოს იმ დონეზე ქართულს, რომ თანაბარ მდგომარეობაში იყოს თანაკლასელებთან და მომავალში ირიცხებოდეს შემდგომ კლასში.

ქართული ჭიდაობის ამაგდარის გზა პრეზიდენტობიდან - დღემდე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

გიორგი ბიწკინაშვილი იმათ რიგებშია, ვინც სათავე დაუდო ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ჩამოყალიბებას და ახლაც მის პოპულარიზაციას ეწევა

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველი, აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, ღირსების ორდენოსანი გიორგი ბიწკინაშვილი 75 წელსაა გადაცილებული, მაგრამ ისეთივე შემართებით საქმიანობს, როგორც ათწლეულების წინ. იგი დეკემბრის დასაწყისში ბათუმში გამართული ტურნირის წამყვანი იყო და ეს ინტერვიუც მაშინ ჩავიწერეთ.

- ბატონო გიორგი, ჩვენი გაზეთის მკითხველს მოკლედ გააცანით თქვენი ბიოგრაფია.

- მეც ისეთივე ცხოვრების წესით მოვდივარ, როგორც მრავალი ჩემი თანამემამულე, ისეთივე შემართებით ვემსახურები სამშობლოს, როგორც ყველა ქართველი. ვამაყობ, რომ ნიკოლოზ იაშვილისა და სხვა ღირსეული ქართველების მსგავსად, პირადი წილი გავიღე ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ჩამოყალიბებაში, მის შემდგომ აღმასვლასა და საერთაშორისო სარბიელზე წარმოჩენაში. ახლაც, ამ ასაკში, უდიდესი პასუხისმგებლობა და როლი მეკისრება, რომ ხელი შევუწყო ერის წიაღში დავანებული სპორტის ამ სახეობის მსოფლიო სარბიელზე დამკვიდრებას. ჩვენი ოჯახი მოჭიდავეთა კერად ითვლებოდა. საარქივო მასალებში მივაკვლიე 1949 წლის აფიშას, რომ ერთმანეთს ეპაექრებოდნენ უძლიერესი მოჭიდავეები, რომელთა შორის მამაჩემის - ივანე ბიწკინაშვილის სახელ-გვარიც იკითხება. მამა ფინალში გასულა, მაგრამ ჭიდაობის დაწყებამდე ცუდად გამხდარა. წაუყვანიათ საავადმყოფოში. უმალვე საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩენილა საკმაოდ მძიმე დიაგნოზით... იგი გარდაიცვალა და მორგში გადაუსვენებიათ. სიზმარივით მახსოვს სამზადისი ცხედრის გადმოსასვენებლად. შემთხვევით, ალბათ უფლის ნება იყო, მორგში ექთანი შევიდა და უნახავს, რომ ივანე... გაცოცხლდა. საინტერესოა, ის ყოფილა, რომ მამას უთქვამს: ნუ გეშინიათ, რა ფათერაკიც უნდა შემემთხვეს, 1999 წლამდე უნდა ვიცოცხლოო. ეს ნათქვამიც აუხდა. ხშირად მეტყოდა: ეს ციფრი ტიტრების მსგავსად იწერებოდაო. სავარაუდოდ, კომაში იყო. ეს გახდა მიზეზი, რომ ჭიდაობას გამოთიშულიყო. მისი დიდი სურვილი იყო, სპორტის ამ სახეობაში მისი გზა გამეგრძელებინა. მეც დავიწყე სოფლის ნახერხმოყრილ მოედანზე ჭიდაობა. ჩემი მშობლიური სოფელი შაშიანია - გურჯაანის რაიონი. აქ ბევრი კარგი მოჭიდავე იყო. შაშიანს ანგარიშგასაწევი ნაკრები ჰყავდა. ახმეტას, თელავს, ლაგოდეხს ტოლს არ ვუდებდით. სოფლის ნაკრებში მეც მოვხვდი, ასპარეზობაზე წამიყვანეს. ჩემი მწვრთნელი მაშინ ქრისტეფორე ნინიაშვილი გახლდათ. ერთ ტურნირზე ფინალამდე მივაღწიე და მოწინააღმდეგემ მარცხენა ხელი მომტეხა.

- რა წარმატებებს მიაღწიეთ?

- ბევრს ვერ დავიკვეხნი. ძალიან მალე გადავდგი ნაბიჯი, რომელიც არ უნდა გადამედგა. შაშიანში იყო 178 კილოგრამი წონის მოჭიდავე, მე 59 კილოგრამი ვიყავი. ბიძაჩემი და მამამისი ნასვამები იყვნენ და აიჩემეს: უნდა იჭიდაოთო. სანაძლეოც დადეს. მათ ახირებას ჩემი საჭიდაო კარიერა შეეწირა. ორთაბრძოლა მაყურებელთა თვალწინ კი მოვიგე, მაგრამ... ფალანგზე ოპერაცია დამჭირდა და ერთი წლით ჭიდაობა ამიკრძალეს, შემდეგ იგივე ადგილი მეორედაც რომ დავიზიანე, ერთხანს ჭიდაობა ვეღარ გავაგრძელე. მწვრთნელი იმედს მაძლევდა, რომ მომდევნო წლებში ჩემგან რაღაცა „გამოდნებოდა“. მერე, როგორც გითხარით, ერთ ტურნირზე ფინალში მოწინააღმდეგემ მარცხენა ხელი მომტეხა და ჭიდაობასაც სამუდამოდ გამოვეთხოვე.

- ქართული ჭიდაობა თქვენს ბიოგრაფიაში მაინც საპატიო ადგილს იჭერდა...

- ტრავმამ სულისკვეთება ვერ ჩაკლა. მწვრთნელი არ ვიყავი, მაგრამ სოფლის ბავშვებს ხელი წავახმარე, საზოგადოებრივ საწყისებზე ბიჭები თბილისში ჩამყავდა ასპარეზობებზე. დადგა 1990 წელი. ეროვნული მოძრაობა აზვირთებულია, მე უკვე ქართული ჭიდაობის ქომაგად მიცნობენ. ქართული ჭიდაობის მაშინდელ ვიცე-პრეზიდენტ სიმონ მაისურაძეს ყურადღების მიღმა არ დარჩა ჩემი შემართება და მითხრა: ფედერაცია ახლა ყალიბდება და უნდა ჩაერთო მის მუშაობაშიო. უარი არ მითქვამს. მაშინ ქართული ჭიდაობის დიდი ქომაგი და კურატორი იყო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნე“, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში გახლდათ. ეს ჯაჭვი აღარ დავშალეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პირველ პრეზიდენტად საზოგადოებრივ საწყისებზე აგვერჩია სოფლის მეურნეობის მინისტრი, აკადემიკოსი, შესანიშნავი პიროვნება ნიკოლოზ იაშვილი. ეს ხდება ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდში. მალე ბატონი ნიკოლოზი მინისტრობიდან დაითხოვეს. მან აღნიშნა, მოჭიდავე არ ვყოფილვარ, პატივს ჩემს პორტფელს სცემდით და ახლა ფედერაციის პრეზიდენტად სხვა პიროვნება უნდა ავირჩიოთო. მან რეკომენდაცია მე გამიწია. 24 წლის განმავლობაში მეკავა ეს საპატიო თანამდებობა, შემდეგ პოსტი უშანგი ყურაშვილს გადავულოცე. ძალიან ძნელი გზა გამოვიარე. დაფინანსება ნულის ტოლი იყო, მაგრამ საქმე არ მივატოვეთ და შევქმენით ბაზისი იმ შედეგებისა და აღიარებისთვის, რაც ქართულ ჭიდაობას დღეს აქვს. საქმეში ჩავრთე სახელოვანი და ტიტულოვანი მოჭიდავეები დავით ციმაკურიძე, გოგი სხირტლაძე, გურამ საღარაძე, ოთარ კანდელაკი... მათი საქმე და სახელი სასიკეთოდ წაადგა ქართულ ჭიდაობას. აჭარაში განვითარებული იყო ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა, რაც საფუძველს ქმნიდა იმისთვის, რომ 2004 წელს, უშუალოდ ჩემი ინიციატივით, ქართული ჭიდაობის ფედერაცია ჩამოგვეყალიბებინა. პირველ პრეზიდენტად პაატა ურიადმყოფელი ავირჩიეთ. დღეს ფედერაციას ჯემალ წულუკიძე ხელმძღვანელობს. იგი შვილივით გამოვზარდე. ერუდიცია, პასუხისმგებლობა არც ამ პოსტზე მოსვლამდე აკლდა, მაგრამ აქ უკეთესად წარმოჩნდა მისი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობისადმი. ჯემალს გვერდით ვუდგავარ, ყველა ტურნირსა და შეჯიბრებაზე თბილისიდან ჩამოვდივარ და ვმსაჯობ. თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ჩემი რეკომენდაციით თანამდებობაზე მოსული პირი კარგი რეპუტაციით სარგებლობს. ვოცნებობდი, ყველა რეგიონში ქართული ჭიდაობის ფედერაციები, რაიონებში - სექციები გვქონოდა, რასაც მივაღწიეთ. დღეს საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციას, გელა ბერუაშვილის სახით, წარმატებული პრეზიდენტი ჰყავს.

- მსოფლიო სარბიელზე გასასვლელად რა არის საჭირო?

- ერთსულოვნება და მიზანსწრაფვა, რაც დეკემბრის დასაწყისში ბათუმში გამართულ რესპუბლიკურ ტურნირზეც წარმოჩნდა. ყველა რეგიონიდან 7 წონით კატეგორიაში 250-ზე მეტი 12-13 წლის ჭაბუკი მონაწილეობდა და მაღალი ოსტატობა აჩვენა. როგორც ქართული ჭიდაობის ვეტერანს, მახარებს ის მეგობრული დამოკიდებულება, რასაც სპორტსმენები ერთმანეთის მიმართ იჩენენ. ყველა გაგვახარა გელა ბერუაშვილის განცხადებამ, რომ გაისად ტურნირი „საქართველოს ფალავანი“ ბათუმში გაიმართება. უდიდესია რეგიონის ხელმძღვანელთა თანადგომა სპორტის ამ ეროვნული სახეობისადმი. თქვენი გაზეთით თამამად შემიძლია განვაცხადო: ქართული ჭიდაობა მალე მსოფლიო და ოლიმპიურ სარბიელზე გაბრწყინდება. წელს გამართული საერთაშორისო ტურნირები და ჩემპიონატები ამის დასტურია.

ზღვა მხოლოდ ძლიერებს ემორჩილება

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

მოლივლივე ზღვა, ულამაზესი პეიზაჟები, ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობა და... მაღალი ხელფასიც. თუმცა, ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება ზღვას დაუკავშირეს, ამბობენ, რომ ყველაფერი არც ასე მარტივადაა, მეზღვაურის პროფესია რისკებით არის დახუნძლული

თუმცა, შავი ზღვის ტალღებთან ერთად გაზრდილი ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, ზღვისკენ მიისწრაფვის, შიში არ აქვს. სწორედ ამიტომაა, რომ მეზღვაურთა უმრავლესობა აჭარის რეგიონიდანაა. დღეს ჩვენი სტუმარი გემის კაპიტანი ***ედუარდ გოგუაძეა,*** *რომელსაც შორეული ნაოსნობის 30-წლიანი გამოცდილება აქვს. ის უკეთ ჩაგვახედებს მეზღვაურის რთულ და ძალზედ საპასუხისმგებლო პროფესიაში.*

- გზა კაპიტნობამდე...

- ეს გზა ნამდვილად რთული და საინტერესო იყო. დედისერთა ვარ და ვერავის წარმოედგინა, მეზღვაური თუ გავხდებოდი. მშობლების თხოვნით, 1990 წელს ჩავირიცხე უკრაინის ქალაქ ნიკოლაევის გემთმშენებელ ინსტიტუტში გემთმშენებლის ფაკულტეტზე, 1992 წელს კი ჩემს მიზანს მივაღწიე და სწავლა გავაგრძელე ბათუმის საზღვაო აკადემიაში, რითაც ძალიან ბედნიერი ვიყავი. ამავე პერიოდში მუშაობა დავიწყე მოწაფედ ბათუმის საზღვაო პორტში, სამგზავრო კატარღაზე „ოპიზარი“. ნელა, თუმცა მიზნისაკენ მივიწევდი, რაც ძალიან მახარებდა. 1993 წელს საქართველოს საზღვაო სანაოსნოში, შორეული ნაოსნობის ფლოტში დავიწყე მუშაობა. შინაგანად ვთვლიდი, რომ მთელი ცხოვრება ამ ოჯახის წევრი ვიყავი და მას აღარასდროს დავშორდებოდი. მომდევნო წლებშიც დავაგროვე ამ სფეროში დიდი გამოცდილება და საბოლოოდ 2017 წელს მოხდა ის, რისთვისაც მთელი ცხოვრება ვსწავლობდი და ვიბრძოდი - საზღვაო ადმინისტრაციამ შორეული ნაოსნობის კაპიტნის წოდება მომანიჭა.

- მიზეზი, რის გამოც ეს პროფესია აირჩიეთ?

- მე არ დავბადებულვარ მეზღვაურის ოჯახში, თუმცა ბავშვობიდანვე ვიცოდი, რომ მეზღვაური ვიქნებოდი. პროფესიის არჩევაზე ბიძამ იქონია დიდი გავლენა, ის მეზღვაური იყო. მახსოვს, როგორ მიდიოდა ოჯახიდან და ყველანი როგორი დიდი სიხარულით ველოდით მის ჩამოსვლას.

- ალბათ, ყველა მეზღვაურისთვის შორეულ ნაოსნობაში პირველად წასვლა დიდ ემოციებთან ასოცირდება. რას შეადარებდით მას?

- ეს შეიძლება შეადარო ხელახლა დაბადებას. ამ დღით მთელი ჩემი ცხოვრება ვიამაყებ.

- 6 თვე ან უფრო მეტი დროითაც ზღვაში ხართ. თქვენი შვილები, შეიძლება ითქვას, მამის გარეშე იზრდებიან და... ცხოვრებაც გადის.

- შვილები ისე გაიზარდნენ, მათთვის საჭირო დროს ზღვაში ვიყავი. ვერ ვიზიარებდი იმ სიხარულს, რასაც ისინი განიცდიდნენ. ვერც იმ განსაცდელს ვხედავდი, რაც, შესაძლოა, მოზარდის ცხოვრებაში ხდებოდეს. ამაზე ფიქრი ჩემთვის ძალიან რთულია, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ქართველი კაცი საუკუნეების განმავლობაში ომობდა, იბრძოდა თავისი ქვეყნისთვის, ოჯახისთვის, შვილს კი მეომარი მამა სჭირდება ახალ-ახალი გამარჯვებებით. აქ საუბარია, რა თქმა უნდა, შენი ქვეყნის, სამშობლოსა და შენი ოჯახის დიდ სიყვარულზე. რომ არა სიყვარულის ძალა, ალბათ, ის პირველი მებადურიც არ გავიდოდა ზღვაში თევზის დასაჭერად.

- გემზე მუშაობა დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული, ამავდროულად, რისკიც დიდია. მოგვიყევით ექსტრემალურ სიტუაციაზე, რომელიც თავად გამოსცადეთ.

- მახსოვს სიმამრის დარიგება: არასდროს მოუყვე შენს ოჯახს ის, რაც ზღვაში შეგემთხვევაო. ეს ცხოვრების წესად მექცა. არასდროს მიყვარს იმ სირთულეების განხილვა ოჯახის წევრებთან, რაც ზღვას უკავშირდება. ალბათ, ნებისმიერი გემით ზღვაში გასვლა უკვე დიდი რისკია. როგორც შორეული ნაოსნობის კაპიტანმა ოსმან ხინკილაძემ, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, მითხრა, გემი პორტში იძირება. ამ სიტყვის არსს მხოლოდ მეზღვაური თუ გაიგებს. გემი რომ პორტიდან გავიდეს, მას ესაჭიროება უწყვეტი ტექნიკური დათვალიერება... 2012 წელს არაბთა გაერთიანებული საამიროების პორტში - შარჯაში ვიდექით გეგმური სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. იმ დროს კაპიტნის მეორე თანაშემწის მოვალეობას ვასრულებდი. მოულოდნელად ქარიშხალი ამოვარდა. ეს ყველაფერი წამებში ხდებოდა, საჭირო იყო მყისიერი რეაგირება, სწორი და გონივრული გადაწყვეტილების მიღება. ჩვენი გემის ყველა ის თოკი წყდებოდა, რითაც გემი მიმაგრებული იყო ნაპირთან. პირველი ჩემი რეაქცია იყო, ავსულიყავი სანავიგაციო ხიდურზე და პორტის კაპიტნისთვის მეცნობებინა ფაქტის შესახებ, შემდგომ კაპიტნის განკარგულებები შემესრულებინა. იმ მომენტისთვის კაპიტნის უფროსი თანაშემწე ადგილზე არ იმყოფებოდა. ჩემდა გასაკვირად, ხიდურზე რომ ავედი, შემზარავი სურათი დამხვდა - კაპიტანს გულის შეტევა ჰქონდა, ცუდად იყო და მთხოვა, გემისთვის მიმეხედა. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად პასუხისმგებლობა უნდა ამეღო გემზეც და ჩემს მეგობრებზეც. დიდება უფალს, სიტუაცია საუკეთესოდ განიმუხტა. ეს იყო პირველი სერიოზული მომენტი, როცა ვიგრძენი, რას ნიშნავს, იყო კაპიტანი.

- თქვენი პროფესიის დადებითი და უარყოფითი მხარეები...

- დადებითი მხარეა მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობა და უამრავი კულტურის ახლოს გაცნობა. რაც შეეხება უარყოფით მხარეს, ეს ოჯახთან სიშორე და მნიშვნელოვან მომენტებში მათთან არყოფნაა. 2021 წელს დედა გარდაიცვალა და მე ამ დროს ბრაზილიის პორტში ვიდექი, ვერ გავაცილე უკანასკნელ გზაზე. პარაკლისი ქალაქ სანტოსში მდებარე მართმადიდებელ ეკლესიაში გადავუხადე რამდენიმე ქართველი მეზღვაურის თანდასწრებით...

- თქვენ სხვადასხვა კომპანიას ემსახურებით. საინტერესოა, კაპიტანი განსაკუთრებულ შემთხვევაში კომპანიის ინტერესებს აყენებს წინა პლანზე თუ ეკიპაჟის?

- უამრავი კომპანიის მილიონობით გემი დაცურავს ზღვებსა და ოკეანეებში. კაპიტანი, როგორც მოგეხსენებათ, არის როგორც კომპანიის წარმომადგენელი, ასევე ეკიპაჟის წევრიც. პრიორიტეტების არჩევისას ყველაფერი ეფუძნება ადამიანის ღირსებას. მე დიდ პატივს ვცემ ყველა გემთმფლობელს და ყველა იმ კომპანიას, სადაც მიმუშავია და სამომავლოდ ვიმუშავებ, თუმცა მე ვეკუთვნი მეზღვაურთა დიდ ოჯახს და მათ ინტერესებს დავაყენებ წინა პლანზე.

- საქართველოს დროშა თან დაგაქვთ, ამბობთ, რომ „ქართული დროშა იქაა, სადაც მე ვარ, რადგან ის ისეთივე ნაწილია ჩემი, როგორც მე მისი“. გემზე როგორ ივსებთ სამშობლოს მონატრებას?

იხ. მე-7 გვ.

როგორ ასრულებს წინასაარჩევნო დანაპირებს მაჟორიტარი დეპუტატი?

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კეკელიძე ამ წარმომადგენლობით ორგანოში ზამლეთის თემის ინტერესებს იცავს. მაჟორიტარი დეპუტატი ჩართულია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში, რაც მასთან საუბარშიც გამოჩნდა

- პატივი და პასუხისმგებლობაა, იყო იმ ოთხი სოფლის (ნიგაზეული, ფურტიო, ბუთურაული, ნენია) მაჟორიტარი დეპუტატი, სადაც ამომრჩეველს მაღალ დონეზე აქვს გათავისებული თავისი როლი და ადგილი ქვეყნის მომავალ წარმატებებში. ორ წელზე მეტია, საქმიანობას წარვმართავ საქართველოს კონსტიტუციის, თვითმმართველობის კოდექსისა და სხვა ქვემდებარე კანონებისა და ნორმატიული აქტების საფუძველზე, ვასრულებ იმ პროგრამას, რომელიც ამომრჩევლებს წინასაარჩევნოდ წარვუდგინე. ჩემთვის სამუშაო საათი, გამოსასვლელი დღე არ არსებობს. იქ ვარ, სადაც რიგი სოციალური, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და კულტურული პრობლემები გადასაწყვეტ-მოსაგვარებელია.

- კერძოდ, რა პროექტებია აქტუალური თემში?

- თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების პირველი პირების, რიგი სამსახურების, თუნდაც სოფლების ხელმძღვანელების ერთობლივი მოქმედებით, ზამლეთის თემში ორ წელიწადში 23 ინფრასტრუქტურული პროექტი დაიგეგმა, რომელთაგან 15 დასრულებულია და 8 დასრულების ეტაპზეა. სოფელი ფურტიო მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პირველია, რომლის ცენტრის კეთილმოწყობა წამოვიწყეთ. სოფელ ნიგაზეულის ცენტრის კეთილმოწყობა 2-წლიანი პროექტია და მომავალ წელს დასრულდება. აქტიურად ვარ ჩართული ყველა პროექტის განხორციელებაში, როგორც მხარდაჭერისა და კოორდინაციის, ასევე მონიტორინგის კუთხით. ქვეყანაში, შუახევის მუნიციპალიტეტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტურიზმის განვითარებას. ზამლეთის თემის ოთხივე სოფელს ამ მიმართებითაც კარგი პოტენციალი აქვს. მარტო ის რად ღირს, რომ ამ ლოკაციაზე გვაქვს ნიგაზეულის ისტორიული ციხე, ეროვნული გმირის - სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი, ფურტიოს თაღოვანი ხიდი, თამარის წყარო, ეკლესიების ნაშთები - ფურტიოს ცენტრსა და მელიქიშვილების უბანში, ბუთურაულ-ნენიის გასაყარზე. ყურადსაღებია ტოპონიმები „შამანაური“, „ხუცური“, რომლებიც ნენიასა და ფურტიოშია. სადეპუტატო უფლებამოვალეობის განხორციელებისას ვცდილობ, აქტიური ურთიერთობა ჩამოვაყალიბო ტურისტულ ორგანიზაციებთან, სააგენტოებთან. ერთობლივი მუშაობით უკვე რამდენიმე ტური შედგა. ღონისძიებათა უმრავლესობა ფურტიოს თაღოვანი ხიდის მიმდებარე ტერიტორიიდან იწყებოდა.

კარგად ახსოვს სოფელ ბუთურაულში სტიქიის შედეგად გამოწვეული პრობლემები.

- საზოგადოებას, თქვენს ამომრჩეველს - ბუნებას შეუვალი კანონები აქვს, ზედმეტ ჩარევას ვერ ჰგუობს. სახნავ-სათიბებად ტყის მასივების ათვისებამ, ჭარბი მოსახლეობის ადგილზე დამკვიდრებამ გარემოზე უარყოფითად იმოქმედა. სოფლიდან მეწყერული პროცესების გამო რამდენიმე კომლი ადრე გამოიყვანეს. სათანადო დასკვნების შემდეგ, მრავალსაც მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, დახმარებას აღმოვუჩენთ. თვითმმართველობის ორგანოები, რეგიონისა და ქვეყნის შესაბამისი სამსახურები ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ.

- თემში ისევ არიან ოჯახები, რომელთა ცხოვრების დონე საარსებო მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. მათი კეთილდღეობისთვის რას აკეთებთ?

- ქვეყნის, რეგიონის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელთა თანადგომით, 30-ზე მეტი ოჯახი სოციალური დახმარებით სარგებლობს და შრომისუნარიანი წევრები დამატებით არიან დასაქმებულები. ჩვენი სარეზერვო ფონდიდან ფინანსდება პაციენტთა ის ოპერაციები, რომლებსაც მცირედი თანხის გადახდაც არ შეუძლიათ. ამ შეღავათით 53-მა ადამიანმა ისარგებლა. მერიის სოციალური სამსახურის თანადგომით, ორ წელიწადში 4-ზე მეტ ოჯახს ძველი საცხოვრებელი სახლი ახლით შევუცვალეთ. წინასაახალწლოდ ახალმოსახლეობას იზეიმებენ ნიგაზეულელი გედევან და ნუგზარ ხიმშიაშვილები.

- ზამლეთის თემის სოფლებში, გარდა ბუთურაულისა, დაცარიელების საკითხი არ დგას. რაა მთავარი, რომ მოსახლეობა ადგილზე დარჩეს და ცხოვრების, შრომის ნორმალური პირობები ჰქონდეს?

- შედარებაც კი შეუძლებელია იმ პირობებთან, რაც შუბნის, წყალსაყრის, ნაწილობრივ ბარათაულის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებშია. ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულის ყველა ტერიტორიაზე ვაზი საუკეთესო მოსავალს იძლევა, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, სუბტროპიკული ხურმაც კი ხარობს. ოთხივე სოფელში „აქილევსის ქუსლი“ სასმელი და სარწყავი წყლის ნაკლებობა იყო. ეს პრობლემა უკვე დაძლეულია. 5,1 მილიონი ლარი მოხმარდა ფურტიო-ბუთურაულ-ნენიაში 29 კილომეტრიდან ლითონის მილებით სასმელი და სარწყავი წყლის გამოყვანას. მილიონამდე ლარი დაიხარჯა ნიგაზეულსა და ჩანჩხალოში სასმელი წყლის გამოყვანაზე. ფერმერებს უკვე პირობები აქვთ, გააშენონ თხილის, ვაზის, სხვა მრავალწლიანი კულტურების პლანტაციები, ზვრები, ბაღები. საამისოდ ტერიტორიაც არის და ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც. ნენიაში 10-მდე ფერმერს ვაზი აქვს გაშენებული. რამდენიმე ჩხავერის ბარაქიან მოსავალსაც იღებს. სათიბ-საძოვრების ნაკლებობა მეცხოველეობის განვითარებისთვის ისეთივე ხელსაყრელი არაა, როგორც შუახევის მთისპირა სოფლებში, თუმცა ფერმერებს ხელშეწყობა ამ მიმართებითაც არ აკლიათ. თუ ოთხივე სოფელში მოასფალტებული გზებია, იგივე მთა ჯანჯღნარსა და თეთროობზე, სადაც მეცხოველე ფერმერები ზაფხულობით პირუტყვს მირეკავენ, ბეტონისსაფარიანი გზები კეთდება. მთებში დენიც გაიყვანეს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებითა და ქვეპროგრამებით მრავალი ფერმერი სარგებლობს, რაც სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების, მათ შორის, მეფუტკრეობის განვითარებას უწყობს ხელს. შემოდგომის მიწურულს 10-ზე მეტ მეფუტკრე ფერმერს საჭირო ინვენტარი თანადაფინანსებით გადაეცა. აქციაში მონაწილეობა ჩვენც მივიღეთ.

- როგორია განათლებისა და კულტურის ობიექტებისადმი ყურადღება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა?

- ოთხივე სოფელში მესამე საფეხურის (საშუალო) საჯარო სკოლები გვაქვს. ერთ-ერთი სანიმუშოა ფურტიოს ლევან ბერიძის სახელობის საჯარო სკოლის შენობა. ნორმალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა ნენიასა და ნიგაზეულში. ოთხივე სკოლასთან მოქმედებს დახურული და ღია ტიპის სპორტული მოედნები. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით სანიმუშო სპორტული მოედნები გაკეთდა ნენიაში, ფურტიოში, სხვა სოფლებთან შედარებით ოთხივე სოფელში მოსწავლეთა კონტინგენტიც საკმაოა, პედაგოგიური კადრების დეფიციტიც დაძლეულია. შუახევში ნიგაზეული იმ ხუთ სოფელს შორისაა, სადაც რამდენიმე წლის წინ ბაგა-ბაღები ამოქმედდა. მას შემდეგ სკოლამდელი დაწესებულებებისთვის განკუთვნილი ტიპური შენობები აიგო ბუთურაულსა და ფურტიოში და ბაღებიც გაიხსნა. ნენიაში ალტერნატიული ბაღია. მომავალ წელს აქაც ტიპური შენობის აგება იგეგმება, რაც ბაგა-ბაღის გახსნის საწინდარი იქნება. თემის ტერიტორიაზე 5 ბიბლიოთეკა მოქმედებდა. მათი ხელის ერთი მოსმით გაუქმებამ მოსახლეობის სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია. ერთი მათგანი უკვე აღადგინეს. ბიბლოთეკა ნორმალურად მუშაობს, თანამედროვე ლიტერატურით მარაგდება. ნიგაზეულის ახალგაზრდული კავშირის ინიციატივით, ფოლკლორული ანსამბლი „11 ძმა“ ჩამოყალიბდა. ჩემი სამაჟორიტარო ოლქიდან რამდენიმე ამომრჩეველი შუახევის კულტურის ცენტრთან არსებულ უხუცესთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვების“ წევრია.

- ელვაურზე არსებული ყოფილი ზამლეთის კოლმეურნეობის შენობა უსახურად გამოიყურებოდა...

- საზოგადოებისა და გაზეთის მკითხველისთვის ცნობილი რომ იყოს, ეს ტერიტორია რამდენიმე წლის წინ სხალთის ეპარქიას დაექვემდებარა. აქ იმერხევში არსებული ოთხთას ანალოგიური ტაძრის მშენებლობა იგეგმება. სხალთის ეპარქიის მღვდელმთავარი, მეუფე სპირიდონი უსახური შენობისგან ტერიტორიის გამოთავისუფლებას ითხოვდა, რაც ამ დღეებში შევძელით. მალე ტაძრის მშენებლობაც დაიწყება.

- წარმომადგენლობით ორგანოში თქვენს საქმიანობაზეც გვითხარით...

- საკრებულოსა და კომისიების, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში აქტიურად ვარ ჩართული. ჩემ მიერ ორი პროექტი იყო ინიციირებული, რომლებსაც საკრებულოს სხდომებზე კოლეგებმა მხარი დაუჭირეს. ვარ საფინანსო-საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურული კომისიების წევრი. ვმონაწილეობდი 17 სხდომის მუშაობაში. 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, წარმოდგენილი პრიორიტეტებისა და პროგრამების შესახებ მსჯელობა რომ მიმდინარეობდა, ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულისთვის ორი პრიორიტეტი ჩემი წინადადებით დაემატა. გუნდური პრინციპით ვმუშაობთ, ურთიერთმხარდაჭერა ჩვენი საქმიანობის ორიენტირია.

> ***„საზოგადოებისა და გაზეთის მკითხველისთვის ცნობილი რომ იყოს, ეს ტერიტორია რამდენიმე წლის წინ სხალთის ეპარქიას დაექვემდებარა. აქ იმერხევში არსებული ოთხთას ანალოგიური ტაძრის მშენებლობა იგეგმება. სხალთის ეპარქიის მღვდელმთავარი, მეუფე სპირიდონი უსახური შენობისგან ტერიტორიის გამოთავისუფლებას ითხოვდა, რაც ამ დღეებში შევძელით. მალე ტაძრის მშენებლობაც დაიწყება***

სისხლის გაცემის აქცია – შუახევში

ქირურგიის ეროვნული ცენტრის ბათუმის კლინიკის სისხლის ბანკის ტრანსფუზიოლოგ-ჰემატოლოგი ეთერ ვასაძე, სისხლის ბანკის მენეჯერი ხათუნა ტაკიძე, ფლებოტომისტი ინეზა კონცელიძე და ამავე კლინიკის დირექტორი ინგა ხოზრევანიძე შუახევის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდნენ. მათ მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით სისხლის გაცემის აქცია გამართეს.

- აქციაში აქტიურად ჩაერთნენ როგორც აღმასრულებელი, ისე წარმომადგენლობითი ორგანოების მოხელეები, - გვითხრა ინგა ხოზრევანიძემ, - რამდენიმე საათის განმავლობაში 20-მდე დონორმა სისხლი გაიღო. ყველას მადლობას ვუხდით.

ბეტონის საფარს აგებენ

ნოემბრის ბოლო დღეებში აჭარის მთიანეთის სოფლებში მოთოვა, ყინვებიც დაიჭირა, თუმცა უჩვეულოდ მზიანი და თბილი ამინდები დადგა დეკემბრის პირველ დეკადაში, რაც მიზნობრივად გამოიყენეს იმ კომპანიებმა, ფირმებმა და მეწარმეებმა, რომლებიც აჭარის მთიანეთის ცალკეულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ასრულებენ. მათ შორისაა ის კომპანიაც, რომელსაც აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, შუახევის მუნიციპალიტეტის გზებზე ბეტონის საფარის დაგების კონკურსი აქვს მოგებული. უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის ლაკლაკეთი-კერკეტვანის საავტომობილო გზაზე ორი დღის განმავლობაში ბეტონის საფარი დააგეს. თუ ხელსაყრელი ამინდები კვლავ იქნება, სამუშაოების გაგრძელებას აპირებენ.

გვერდი მოამზადა ოთარ ციანარიძემ

„ნარინჯისფერი რთველი“ – ბობოყვათში

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი დადგა, „ნარინჯისფერი რთველი“ აჭარაში ჯერაც არ დასრულებულა, რაც კარგმა ამინდებმაც განაპირობა. ყველა მეციტრუსე ფერმერი, ოჯახის წევრსა თუ დამხმარე მუშახელთან ერთად, უკვე ბაღშია და მანდარინს დიდი მონდომებითა და იმედით კრეფს

„მანდარინობა“ ყველაზე მეტად ქობულეთის მუნიციპალიტეტში იგრძნობა, სადაც ციტრუსის უამრავი ბაღია გაშენებული. ქობულეთელი კაცისთვის ციტრუსი შემოსავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა, რითაც ოჯახის შენახვა შეუძლია. მანდარინის რაოდენობასა და ხარისხზეა დამოკიდებული მომავალი წლის გეგმებიც. ქობულეთში ასეთი გამოთქმაც აქვთ: „მანდარინობაზე პასუხისმგებელი ვარ“, ეს კი ნიშნავს, რომ ამ პერიოდში გლეხი ფინანსურად ძლიერდებოდა და შეეძლო, ადამიანისთვის სიკეთეზე სიკეთით ეპასუხა.

ჩვენს კუთხეში მანდარინის კრეფა მარტო საქმე არ არის. ამ პროცესს ერთგვარი ხიბლი აქვს, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ნადი გეხმარება. „ნადის ხალხი“ უამრავ ისტორიას იხსენებს და დროც შრომაში შეუმჩნევლად გადის.

ამ შაბათ-კვირას მანდარინის კრეფისთვის იდეალური ამინდი იყო. ჩვენც ამით ვისარგებლეთ და ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში ავთანდილ ქათამაძის ოჯახს ვესტუმრეთ. ციტრუსის ბაღში მანდარინის კრეფა იყო გაჩაღებული. ოჯახის უფროსს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- კმაყოფილი ხართ თუ არა მანდარინის მოსავლითა და ხარისხით?

- წელს ორივე შარშანდელზე გაცილებით უკეთესია, რადგან ნაყოფი სტანდარტული და საბაზრო ღირებულების მქონეა.

- რამ განაპირობა ეს?

- უპირველესად, დროულად და ხარისხიანად ჩატარებულმა აგროტექნიკურმა ღონისძიებებმა: დროულად დავამუშავე ნიადაგი და შევიტანე ორგანული და მინერალური სასუქები. ადრე გაზაფხულზე ჩავატარე მცენარეთა გასხვლა-ფორმირება, რაც მათი გაახალგაზრდავებისა და ხარისხიანი ნაყოფის მოცემისთვის აუცილებელი პირობაა. კალენდარულ ვადებში, წესების დაცვით, ჩავატარე მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. შედეგიც სახეზეა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ ყველაფერში დამეხმარა გასულ წლებში ტრენინგებში მონაწილეობა, სადაც უკეთ შევისწავლე ციტრუსის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები, დღეს კი ამ ცოდნას ახალგაზრდებს ვუზიარებ.

- თქვენს მანდარინის ბაღში ნარგავები ხანდაზმულია თუ ახალგაზრდა?

- ასაკიანი მცენარეების ნაწილი პერსპექტიული, უხვმოსავლიანი ჯიშებით ჩავანაცვლე და დღეს როგორც ხანდაზმული, ისე ახალგაზრდა ნერგებიც მაქვს.

- რამდენად კმაყოფილი ხართ ნაყოფის სარეალიზაციო ფასით?

- ვერ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ, რადგან ნაყოფის სარეალიზაციო ფასი 80 თეთრიდან იწყება და ხარისხის შესაბამისად იზრდება, შარშან კი ნაყოფის საწყისი ფასი 60 თეთრი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსავლის დიდ ნაწილს ფერმერი ოჯახიდან ჰყიდის და, შესაბამისად, ხშირად არ უხდება მანდარინის გადამამუშავებელ საწარმოში მისი ტრანსპორტირება, რაც დროსა და ხარჯებთან არის დაკავშირებული.

- აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, სამრეწველო გადამუშავების არასტანდარტულ მანდარინზე სუბსიდია გაორმაგდა და მეციტრუსე ფერმერებს სახელმწიფო, 15 თეთრის ნაცვლად, 30 თეთრით დააფინანსებს. რამდენად მისაღებია თქვენთვის ეს ფასი?

- შარშანდელთან შედარებით, რა თქმა უნდა კმაყოფილი ვარ, თუმცა საკმარისი არ არის, რადგან მანდარინის მოვლა-მოყვანა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

- გარდა ამისა, კიდევ რაში გრძნობთ სახელმწიფოს დახმარებას?

- სახელმწიფო, თანადაფინანსებით, ფერმერებს სთავაზობს სარგავ მასალასა და შესაწამლ აპარატებს, რაც ჩვენთვის დიდი შეღავათია. ასევე, აგრობარათების საშუალებით შხამ-ქიმიკატებს, სასუქებსა და სხვა დამხმარე საშუალებებს ვყიდულობთ. სახელმწიფოს მხარდაჭერას ნამდვილად ვგრძნობთ და მადლობელიც ვარ. ზოგადად, რაც მეტი კარგი გაკეთდება მეციტრუსე ფერმერებისთვის, მით მეტი კარგი გაკეთდება ჩვენი ქვეყნისთვისაც.

რღვევის პროცესი – „ნაციონალურ მოძრაობაში“

რას ფიქრობენ პოლიტიკოსები?

მე-2 გვერდიდან

რესურსი გამოყოფილ ფრთაში არსებობს, ახლა საუბარია იმაზე, თუ რამდენად მოხერხდება ამ რესურსის საზოგადოებრივ კაპიტალად ქცევა. მოგეხსენებათ, რომ საუბარია ახალ პლატფორმაზე, შესაბამისად, არსებობს კითხვები, თუ ვინ უნდა იყოს სამიზნე და რამდენად მოახერხებს მელიას ფრთა იმას, რომ აღარ იყოს „ნაციონალის“ სტატუსით. ეს არის კითხვა, რომელზეც ექნება პასუხი გასაცემი ამ გუნდს, თან ისე, რომ ძირითადი ამომრჩეველი ისევ „ნაცმოძრაობის“ ყოფილი ამომრჩეველი უნდა გახდეს, რაც, რა თქმა უნდა, რთული იქნება.

რეზო ხარაზი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ბათუმის საკრებულოს დეპუტატი:

- სააკაშვილმა 2023 წლის 23 ნოემბერს გამოსცა მანიფესტი, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა და თქვა, რომ ის არის ამ პარტიის ხელმძღვანელი, ის არის უპირობო ლიდერი და ის თავის თავზე იღებს ყველა იმ მოვლენას და პრეტენზიას, რომელიც დაკავშირებული იყო პარტიის შიდა სამზარეულოსთან, ამიტომ პირადად ჩემთვის, ამ ადამიანების პარტიიდან წასვლა არის სიგნალი იმისა, რომ მათ, სავარაუდოდ, არ აკმაყოფილებდათ მიშა სააკაშვილის ნათქვამი, მათ ვერ შეძლეს, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად ბოლომდე ებრძოლათ ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, ამიტომ ვფიქრობ, თუ ისინი გავიდნენ პარტიიდან, მათ უნდა გაასწორონ სამიზნე. მათი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ივანიშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და უნდა დაანებონ თავი სააკაშვილის პროდასავლური პარტიის ლანძღვას. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ბათუმის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობა“ მყარად არის წარმოდგენილი. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი გუნდი, რომელიც აქტიურად მუშაობს ბათუმელების პრობლემაზე და ძალიან საწყენია, თუ ვინმემ თავისი ადგილი ვერ ნახა პარტიაში, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა.

რიჩარდ სირაბიძე, ბათუმის საკრებულოს წევრი, პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“:

- „ნაციონალურ მოძრაობაში“ დიდი ხანია განხეთქილებაა. მათი დაშლის მიზეზი ჩრდილოვანი მმართველობაა. ვერ ვიტყოდი, რომ ეს ახალი იყო მათთვის, უბრალოდ, ახალი თავმჯდომარე მიუღებელი აღმოჩნდა, თავიანთი ინტერესები ვერ გაატარეს და ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ცხადია, ჩამოიშალა ეს პარტია. მინდა ვთქვა, რომ ერთ-ერთი კომედიური სცენარია, რომელზეც მთელი საქართველო იცინის, მათ 2024 წლის არჩევნებზე პერსპექტივაც აღარ გააჩნიათ.

ზღვა მხოლოდ ძლიერებს ემორჩილება

მე-5 გვერდიდან

- სამშობლოსგან შორს მის მონატრებას მისთვის სასიკეთო სახელის მოპოვებით ვივსებ.

- თქვენს საქმიანობაში ბევრი საინტერესო რამ ხდება, თუნდაც, „გემის მონათვლის“ ტრადიცია...

- ეს ტრადიცია საუკუნეებს ითვლის. ნათლობა, ძირითადად, ტროპიკული მერიდიანის გადაკვეთისას ხდება, დამწყებ მეზღვაურებს უწევთ რამდენიმე 200-ლიტრიან ზეთის კასრში გასვლა, რის შემდეგ „პოსეიდონი“ აწვდის მათ 500-გრამიანი სასმისით ზღვის წყალს, დალევის შემდეგ კი ნათლობის მოწმობა გადაეცემა.

- რა არის კაპიტნის ოცნება?

- ჩემი ოცნებაა, საქართველოს ჰყავდეს საკუთარი ფლოტი და მასში დასაქმდნენ გულანთებული ახალგაზრდები, ისეთები, როგორიც ერთ დროს თავად ვიყავი. მინდა, მომავალ თაობას ვუთხრა: ნუ შეგაშინებთ ზღვა, იგი ძლიერებს ემორჩილება!

- მეზღვაურებისგან მსმენია, ზღვამ მიჩვევა იცისო. წარმოგიდგენიათ თუ არა საკუთარი თავი მომავალში სამოქალაქო სამსახურში?

- ზღვამ საოცარი შეყვარება და მიჩვევა იცის. ვიმუშავებდი თუ არა სამოქალაქო სამსახურში? ალბათ, კი და ეს საგამანათლებო სფერო იქნებოდა. მიყვარს ჩემი გამოცდილების გაზიარება.

პირველი საერთაშორისო გასტრონომიული ფორუმი დასრულდა

„გასტრო ბათუმი“ - ასე ერქვა ფორუმს, რომლის ფარგლებში, სამი დღის განმავლობაში, „მიშლენის ვარსკვლავის“ მქონე რესტორნების ფრანგმა, ბელგიელმა, ლატვიელმა შეფებმა, რესტორატორებმა, თურქ და ქართველ სპიკერებთან ერთად, ბათუმში გასტრონომიული ტურიზმის ტენდენციებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს, ადგილობრივი შეფებისთვის კი კერძების მომზადების მასტერკლასები ჩაატარეს

„მოხარულები ვართ, რომ აჭარაში გვსტუმრობდნენ მსოფლიოში აღიარებული, მაღალი დონის შეფები. ერთ-ერთი იყო სტეფან იაკიჩი. ის „მიშლენის ვარსკვლავის“ მფლობელი რესტორნების შეფია. სტეფან იაკიჩმა ბათუმის საერთაშორისო გასტრონომიულ ფორუმზე ავანგარდულ სამზარეულოზე ისაუბრა და სტუმრებს გააცნო, სად გადის ზღვარი თანამედროვე და ავთენტურ კერძებს შორის. ასევე მოწვეული გვყავდა რონალდ დებუსტი, ისიც „მიშლენის ვარსკვლავის“ მფლობელი რესტორნის მეპატრონეა. თავისი კულინარიული კარიერის განმავლობაში იგი იყო არაერთი წარმატებული პროექტის ავტორი და კონსულტანტი, მათ შორის: 2019 წლიდან ევროპარლამენტის აღმასრულებელი შეფ-კონსულტანტი, ბელგიის რესტორანთა ასოციაციის პრეზიდენტი (2015-2019 წლები), საფრანგეთის კულინარიის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (2015-2019 წლები), 1993 წლიდან დღემდე არის ბელგიური HORECA -ს აღმასრულებელი შეფი. ამ მოკლე ჩამონათვალითაც ცხადია, რა დონის მასტერკლასები ჩატარდა. ჩვენი სამდღიანი ფორუმი ემსახურებოდა აჭარის რეგიონში მოღვაწე შეფ-მზარეულების გადამზადებას, მათ შეისწავლეს კერძების მომზადების სხვადასხვა ტექნიკა, აღმოაჩინეს ახალი რეცეპტები და, რა თქმა უნდა, ამ გამოცდილებას ასახავენ მათი რესტორნების მენიუში“, - გვითხრა ბრენდ-შეფმა და ფორუმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დადუნა ღლონტმა.

„გასტრო ბათუმის“ ფარგლებში ადგილობრივ მზარეულებს თევზის, ხორცის, სოუსების და სხვადასხვა პროდუქტის მომზადების მასტერკლასი ჩაუტარდათ. Ferrandi Paris-ის შეფ-ინსტრუქტორმა სტეფან იაკიჩმა თევზის პროდუქტებისგან მრავალფეროვანი მენიუ შეადგინა და მზარეულებს მათი მომზადების ტექნიკა გააცნო. მარინადის ტარტალეტი და ქაფშიის „ანჩოუსი“, ნახევრად მოხარშული ორაგული, გრილზე მომზადებული კრევეტები და ავოკადო, ორთქლზე მომზადებული ზღვის სიბასი, - აი, ის კერძები, რომელიც შეფ-ინსტრუქტორმა ქართველ მზარეულებთან ერთად მოამზადა. ბათუმში გასტრონომიული ფორუმი პირველად ჩატარდა. მას ორგანიზებას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი უწევდა, მიზანი კი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და აჭარაში დანერგვა გახლავთ.

ბაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ ბაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

განცხადება

2024 წლის 9 იანვარს, 11 საათზე, მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სასპორტო სკოლის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება აჭარის მძლეოსნობის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია.

აჭარის მძლეოსნობის ფედერაციის ადმინისტრაცია

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა ბაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 7/12/23, 19 ¹⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

შემოქმედი, რომელსაც პოეტური სულის მკითხველი სჭირდება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

აჭარის მწერალთა სახლში ცნობილი პოეტის, პროზაიკოსის, ღირსების მედალოსნის, ნიკო ლორთქიფანიძისა და ზურაბ გორგილაძის ლიტერატურული პრემიების ლაურეატის, არაერთი პოეტური და პროზაული კრებულის, მხატვრული ნარკვევების, სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილების ავტორ გენრიეტა ქუთათელაძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელიც მისი დაბადებიდან 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. ქალბატონ გენრიეტას ასევე მინიჭებული აქვს ქართული კულტურის ამაგდარის წოდება, „პერსონა 2022“-ის საპატიო ტიტული

ავტორი მკითხველის წინაშე თავისი ახალი ლექსების კრებულით წარსდგა - „რეკვიემი დევნილთათვის“ (რედაქტორი - დავით თედორაძე). აჭარის მწერალთა სახლმა და მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ქალბატონ გენრიეტას წლის „რჩეული შემოქმედის“ ტიტული მიანიჭა.

ღონისძიებას მკითხველები, აჭარის მწერალთა კავშირის წევრები, ადგილობრივი მწერლები და პოეტები, ასევე, გურიიდან ჩამოსული სტუმრები: გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი ნუგზარ ასათიანი და გაზეთ „ლიტერატურული გურიის“ რედაქტორი, პოეტი თემურ მარშანიშვილი ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე მოვიდნენ სკოლის მოსწავლეებიც, მათ შორის სოფელ ზემო ჩხუტუნეთიდან, ასევე, ბათუმის ცენტრ „მწიგნობარიდან“ და ნორჩ შემოქმედთა ლიტერატურულ კლუბ „ზღვაურიდან“, რომლებმაც გენრიეტა ქუთათელაძის ლექსები მხატვრულად წაიკითხეს.

აღსანიშნავია, რომ ქალბატონი გენრიეტა წლების განმავლობაში გაზეთ „აჭარაში“ მუშაობდა, მისი შემოქმედება, ისევე როგორც სხვა გამოცემებში, ჩვენს გაზეთშიც იბეჭდებოდა. ქალბატონი გენრიეტას ვაჟი ლაშა ხომერიკი ოჯახის ტრადიციას აგრძელებს და წლებია, „აჭარის“ ღირსეული ჟურნალისტია.

პოეტი დამსწრე საზოგადოებას ასე მიესალმა:

- უპირველესად, მინდა ძალიან დიდი მადლობა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის. ვუყურებ აუდიტორიას და ვხედავ, რომ აქ ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნავი ადამიანები არიან, ადამიანები, რომლებთანაც წლების განმავლობაში ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა და მათ კვალი აღბეჭდეს ჩემს ცხოვრებაში. ბევრს სიტყვით მოვფერებივარ, ზოგზე დამიწერია კიდეც... როგორც ჩანს, პატარა რაღაცასაც აფასებენ ადამიანები და ამის დასტურია, ალბათ, რომ დღეს მობრძანდით და ჩემთან ერთად ხართ. მე ამას არა მარტო ჩემს პატივისცემად ვთვლი, არამედ იმის გამოხატულებად, რომ ბათუმში არიან ადამიანები, რომლებსაც ძალიან უყვართ ხელოვნება, რომლებიც სიყვარულით და სიკეთით ცხოვრობენ. ეს ამ ქალაქისთვის დამახასიათებელია. ძალიან სასიამოვნოა და მიხარია, რომ ჩემი თანამოქალაქეები ხართ. 60 წელია, ამ ქალაქში ვცხოვრობ. სიყრმიდანვე ვესათუთებოდი აქაურ ბუნებას, ყველაფერი ძვირფასი იყო ჩემთვის. ასე გაილია წლები... ახლა 80 წლის მიჯნასაც გადავაბიჯე და ვფიქრობ - ბევრია ეს თუ ცოტა... ვთვლი, რომ ერთი სიცოცხლე არაა საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანმა გააკეთოს და შექმნას, რაც მას მიზნად აქვს. ცოდნის ის ნაკადი და გამოცდილება, რაც ახლა მაქვს, 20-30 წლის ასაკში რომ მქონოდა, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ღირებულსაც შევქმნიდი და ალბათ, უფრო საინტერესო იქნებოდა ჩემი ყოფნა პლანეტაზე. რას ვიზამთ, ზოგი გვიან ვითარდება, ზოგი ადრე. ახლანდელ ახალგაზრდებს მივესალმები, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთულ დროში ვცხოვრობთ და აპოკალიფსური ეპოქაა, მაინც არის განვითარების ისეთი შესაძლებლობა, რომ ადამიანს სულ სხვა განზომილებაში შეუძლია გადავიდეს და თავისი სიტყვა თქვას ხელოვნებაშიც და მეცნიერების ნებისმიერ დარგში. ძალიან საინტერესო ახალგაზრდები მოდიან და მე ეს მიხარია, - თქვა გენრიეტა ქუთათელაძემ.

- 80 წელი უკან მოიტოვა. ძველებურად მშვენიერია, ვერ გატეხა წლებმა, თავს დამტყდარმა უბედურებებმა. ქალბატონი გენრიეტა გამორჩეული ხმის, ხედვის, მელოდიისა და გამოხატვის ოსტატია. წლებთან ერთად უღრმავდება სათქმელის ფურცელზე სრულქმნილად გადატანის უნარი. რჩეულია, ამიტომაც წლის „რჩეული შემოქმედის“ ტიტული მიანიჭა აჭარის მწერალთა სახლმა. შემოქმედებითი სიმწიფე, სამწერლო დიდოსტატობა და წლებზე გამარჯვება მივულოცეთ თანამოკალმეებმა, მწერალთა კავშირმა და ახლობელ-მეგობრებმა. საიუბილეო ლექსების კრებული „რეკვიემი დევნილთათვის“ საინტერესო და დამაფიქრებელი მესიჯია მთელი კაცობრიობისთვის. ქალბატონი გენრიეტა არ არის იოლად წასაკითხი და აღსაქმელი შემოქმედი. მის ლექსებს მომზადებული და გემოვნებიანი, ნაკითხი და პოეტური სულის მკითხველი სჭირდება. ეს არაერთხელ აღნიშნეს სიტყვით გამომსვლელებმა. შეხვედრაზე ითქვა უამრავი თბილი სიტყვა. დღეგრძელობა და გამარჯვება უსურვეს საყვარელ მწერალ ქალბატონს ახალგაზრდებმაც, - გვითხრა პოეტმა ბელა ქებურიამ.

- ქათქათა ბათუმში ორი ზღვა ყოფილა - შავი და ყვავილების, თანაც ისეთი ყვავილების, რომელთა ბუტკოები უკიდეგანო სიყვარულით არის დამტვერილი. პირველი ჯერ კიდევ ბავშვობაში ვიხილე, მეორე კი ჩემმა კოლეგამ ნუგზარ ასათიანმა და მე აღმოვაჩინეთ აჭარის მწერალთა სახლში. და ამ ყვავილების ფერმდიდარ, სურნელოვან ზღვაში ექსკლუზიურად ბანაობდა უმშვენიერესი ბანოვანი, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე, ცნობილი პოეტი, მწერალი და ჟურნალისტი, ქალბატონი გენრიეტა ქუთათელაძე, რომელსაც, თურმე, დაბადებიდან 80 წელი შესრულებია. დაბადების მოწმობის წარმოდგენას ვინ აკადრებდა, ისე კი, ვიზუალურად, სულიერად და შემოქმედებითად ასაკოვნებისა არაფერი ეტყობა. რასაკვირველია, ქალბატონ გენრიეტას პოეზიით ატკბილხმოვანებულ ყვავილების ზღვას მხოლოდ მწერალთა სახლი და აქაური მწერლები ვერ შექმნიდნენ. იგი უსათუოდ მთელი აჭარის ნახელავია, აჭარისა, რომელმაც დიდი და უსაშველო სიყვარული იცის. აფერუმ, თქვენ, თბილო აჭარლებო! გურულებიც ანალოგიური სიყვარულით გილოცავენ იუბილეს, ქალბატონო გენრიეტა. პირადად ჩემთვის, როგორც ერთი რიგითი მკითხველისთვის, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთგვარი მეტრი ბრძანდებით. მიყვარს თქვენი ფილოსოფიური ელფერით შეკმაზული ლირიკული და, რაც მთავარია, ჯანმრთელი პოეზია, იმდენად ჯანმრთელი, რომ დროსა და სივრცეში არასოდეს დასჭირდება მის გენს დიეტა. ამიტომ, დიდხანს უნდა იცოცხლოთ, დიდხანს უნდა იღვაწოთ, უნდა იხაროთ და უნდა გაგვახაროთ თქვენი, როგორც ამჟამინდელი, ისე მომავალი შემოქმედებით. გილოცავთ დიდ იუბილეს! - ასეთი ამაღლებული ემოციებით შეაფასა თემურ მარშანიშვილმა პოეტი გენრიეტა ქუთათელაძე.

- მივესალმები 80 წლის ახალგაზრდა პოეტს იმიტომ, რომ პოეზია არის სულის მდგომარეობა, ახალგაზრდობა კი ასაკით არ განისაზღვრება. თუ ადამიანს აქვს უნარი, წეროს პოეზია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ახალგაზრდაა. ქალბატონი გენრიეტა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და იმედია, რომ დიდხანს, მრავალჟამიერ იქნება ახალგაზრდული სულისკვეთებით და მუხტით გამსჭვალული ავტორი. ორი კატეგორიის ავტორები გვყავს (პოეტები ხომ ცოტა უცნაური ხალხი ვართ) - არიან ავტორები, რომლებსაც მკითხველები სწყალობენ და კოლეგებს მაინცდამაინც არ უყვართ, და პირიქით - კოლეგები რომ სწყალობენ და მკითხველი არ ჰყავთ. დღეს აქ კოლეგების სიმრავლეც არის და მკითხველებისაც, ეს კი ქალბატონ გენრიეტას პიროვნულ ღირებულებებზე და მის ლიტერატურულ ხარისხზე მიუთითებს. ბათუმი დიდი ლიტერატურული ტრადიციების ქალაქია. ახალგაზრდა პოეტების კატეგორიაში, მგონი, აღარ გავდივარ, მაგრამ ჩემი და მომდევნო თაობის ავტორები რომ ლიტერატურულ ნიადაგზე მყარად ვდგავართ, ეს ზუსტად იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებმაც ამ ქალაქში პოეზიის ნიშნული შექმნეს. ეს ქალაქი მათ პოეტურ, კულტურულ ქალაქად ჩამოაყალიბეს, კითხვის კულტურა შექმნეს და ქართულ ლიტერატურაში თავისი სიტყვა თქვეს. დიდი მადლობა ქალბატონ გენრიეტას, რომელიც გამორჩეული ავტორია. არ ჰგავს საერთოდ არავის, იმიტომ, რომ მას არ აინტერესებს არანაირი მოდა და კანონზომიერება, თანამედროვე ტენდენციები ლიტერატურისა. ის წერს იმას, რაც მხოლოდ და მხოლოდ მას ჰგავს სულიერად. თუ ვინმე არის თვითმყოფადი, საკუთარ სივრცეში თვითნაბადი ლიტერატორი, ავტორი, პირველ რიგში, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ქალბატონი გენრიეტა მახსენდება. ვუსურვებ ხანგრძლივ, ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას. მინდა, რომ ძალიან დიდხანს წეროს ულამაზესი ლექსები, რომელთა შეგრძნებაც მხოლოდ ქალს, როგორც სიცოცხლის შემოქმედს, შეუძლია. ბევრისთვის ქალბატონი გენრიეტა მურმან ხომერიკის მეუღლე და მასთან დაკავშირებული პერსონაა, ჩემთვის კი ლაშა ხომერიკის დედაა. მინდა მას, როგორც დედას, მადლობა გადავუხადო იმიტომ, რომ ჩემს ცხოვრებაში ძალიან ბევრ ჟურნალისტთან, ბევრ პროფესიონალთან მქონია შეხება, მაგრამ ლაშა ჩემთვის არის განსაკუთრებული სიღრმის მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც შეუძლია ისეთი კითხვა დაგისვას, დაგაფიქროს და გაგზარდოს. ეს ჰაერიდან არ მოდის, ეს არის ოჯახური ტრადიციის გაგრძელება, ოჯახის შედეგი! მადლობა - როგორც ბრწყინვალე დედას, როგორც ბრწყინვალე პოეტს, როგორც არაჩვეულებრივ ადამიანს, რომლის გამოჩენაც ჩვენს ქალაქში გაზაფხულის ტოლფასია, წელიწადის რომელ თვესაც უნდა შეგხვდეს და გაანათოს ქუჩის რომელიმე კუთხე, - თქვა პოეტმა გენრი დოლიძემ.

ღვაწლმოსილ ფეხბურთელს ვარსკვლავი გაუხსნეს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის „აჭარაბეთ არენაზე“ ვეტერან ქართველ ფეხბურთელ ასლან ბალაძის ვარსკვლავი გაიხსნა

ასლან ბალაძე სხვადასხვა დროს საფეხბურთო კლუბ „დინამო ბათუმის“, ქობულეთის „შუქურის“ და თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავდა. ის აღიარებულია „დინამო ბათუმის“ XX საუკუნის საუკეთესო მეკარედ.

ასლან ბალაძემ თავისი სპორტული მოღვაწეობის მეტი ნაწილი „დინამო ბათუმში“ გაატარა. ამჟამად ამავე კლუბის გენერალური დირექტორია.

ვეტერანი მეკარის ვარსკვლავის გახსნას როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების, საზოგადოების წარმომადგენლები, მისი კოლეგები - ვეტერანი ფეხბურთელები ესწრებოდნენ.

ღვაწლმოსილმა სპორტსმენმა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი დაამთავრა, მას გავლილი აქვს იტალიის კოვერჩიანოს საფეხბურთო აკადემიის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

კოლეგებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ასლან ბალაძე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით. გუნდში მეკარეზე ყოველთვის დიდი დატვირთვა მოდის და თამაშის შემდეგ ხშირად უთქვამთ, ბალაძემ გადაგვარჩინაო. ის ნამდვილად იმსახურებდა იმას, რომ მისი საქმე და სახელი აჭარაში უკვდავყოფილიყო.

- დღეს ქართული სპორტის ლეგენდას ვარსკვლავი გავუხსენით. ეს არის დიდი პატივისცემა იმისთვის, რაც მან ქართული სპორტისთვის, კერძოდ, ფეხბურთისთვის გააკეთა. მას ათეულობით წელი აკავშირებდა და დღესაც აკავშირებს ბათუმის „დინამოსთან“. ვულოცავ ამ სასიხარულო დღეს და წარმატებებს ვუსურვებ, - თქვა ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

- არ ვიცი, როგორ გამოვხატო ეს სიხარული, ეს პატივისცემა. ძალიან დიდ ემოციებში ვარ, მიხარია, რომ ჩემი ვარსკვლავის გახსნა „დინამო ბათუმის“ საიუბილეო თარიღს და ჩემი საყვარელი გუნდის ჩემპიონობას დაემთხვა. დიდი მადლობა ქალაქს, ჩემს გულშემატკივრებს ასეთი ლამაზი დღისთვის, ყველას, ვისაც უყვარს ქართული ფეხბურთი, „დინამო ბათუმს“, რომელიც ჩემთვის ტაძარივით გახდა, მადლობა მათ, ვინც ეს დღე მაჩუქა, - თქვა ასლან ბალაძემ, რომელსაც ჯილდოდ 10 000 ლარი გადაეცა.